



ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru



№322 (381) 30 ივნისი – 7 ივლისი 2015

სახალხო მოძრაობა „სამებროს“ ორბანო 30 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აააკი ვანიძე

**ალექსანდრა
ჭაჭია:**
**რატომ მოვიდა
ბიძინა
ივანიშვილი
ხელისუფლებაში?**
გვ. 2-4

...ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, ქვეყანაში მდგომარეობის უკეთესობისკენ მალე შეცვლის იმედით მოსახლეობა კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა...



**რა
გითხრათ?
რით
გაბასაროთ?**

საფიქრალი და საწუხარი კი ფრიად მომრავლებული გვაქვს, რადგან ვერა და ვერ ველირსეთ ილიას მოხვევის მიერ სინანულით ნათქვამს – “როდის იქნება, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვემუდნოდეს?!”

გვ. 3

ნუგზარ გოგუა:
საქართველოს ხელისუფალნო!
ნურავინ იფიქრებს, რომ “ვერარეჩვის” კატასტროფით ამოიწურა იმ პრობლემატა ჯაჯვი, რომელიც დღესაც უამრავი დამოკლეს მახვილით ჰკიდია ქალაქის თავზე. მინდა ვებახსენოთ, რომ ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში არსებობდა ქალაქ თბილისისა და რუსთავის სპეციალური ჰიდრობეოლოგიური და საინჟინრო-ბეოლოგიური პარტია, რომელთან კოორდინირებულად მუშაობდნენ მშენებლები...



**ტყეა შეუნახა
შვილებსა...**

გვ. 6



გვ. 4

**ლეიტენანტი თამარ
ბელქანია – ვანო
მერაბიშვილის
“ხერხემალი”**

გვ. 9



**ილიას
სიბყვები,
როგელის,
ყველაე უნდა
იხოდეს და
დაუფიქრდეს!**

გვ. 7

**დავით ქოჯალია
ნორმალურ
ქვეყანაში –
„ომისტვის
მშვიდო-
ბიანობისას
მეზადებიან“!**



გვ. 5

რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში?

“ივანიშვილი იქცა ურეიტინგო პარტიების ლოკომოტივად, ეს ამერიკელების დაგეგმვა იყო”

2013 წელს გაზეთში **“სამართლიანი საქმეები”** გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიაშვილის, რომელიც ის საქართველოს უახლოეს პოლიტიკურ მოვლენებზე საუბრობდა. ამ ინტერვიუში ბატონი ალექსანდრე მირგალიძის მიერ გამოთქმული შეფასებები და პოლიტიკური პროგნოზები ზედმიწევნით ახლა. გაზეთის მრავალრიცხოვანი მკითხველის თხოვნით, ვთავაზობთ ამონარიდს აღნიშნული ინტერვიუდან:

“ივანიშვილი, როგორც ჩანს, ტოვებს თავის პოსტს. ეს სხვადასხვანაირად შეიძლება შეფასდეს, მათ შორის, ძალიან ნეგატიურადაც, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მან უდიდესი ეროვნული საქმე გააკეთა – ხელისუფლებას მოაშორა და მარგინალად აქცია სამარცხვინო “ნაციონალური მოძრაობა”. ივანიშვილის გარდა, ამ საქმეში ამერიკელები მხარს არავის დაუჭერდნენ. პარალელურად მან, რა თქმა უნდა, შეასრულა ამერიკელების დაგეგმვა – ითამაშა ლოკომოტივის როლი და ხელისუფლებაში მოიყვანა ის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთაც ხელისუფლებაში დამოუკიდებლად მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდათ. იქნებ მისი წასვლა უკეთესიც იყო. ივანიშვილი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, ქვეყანაში მდგომარეობის უკეთესობისკენ მალე შეცვლის იმედით მოსახლეობა კიდევ ორიოდე წელიწადი ილუზიებში, მოლოდინის რეჟიმში იქნებოდა და ბოლოს უფრო მეტად იმედგაცრუებული აღმოჩნდებოდა. საქმე ისაა, რომ, პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი ხელისუფლება უმნიშვნელოდ თუ გამოირჩევა წარმავალი რეჟიმისგან, ამიტომ უახლოეს წლებში არანაირი თვისობრივი პოზიტიური ცვლილებები არ იქნება, მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდება, სოციალური, ეროვნებათაშორისი და რელიგიათაშორისი დაპირისპირება გაიზრდება.

...ივანიშვილი სერიოზულ შეცდომას უშვებს, თუკი სახელმწიფოს განიხილავს, როგორც კომერციულ ფირმას, კერძო კომპანიას, რომელშიც მას აქციათა თითქმის 100-პროცენტია პაკეტი აქვს და მინისტრები, დეპუტატები მისი თანაშემწეები, კლერკები მისი ნება-სურვილის შემსრულებლები არიან. მისი განცხადებები იმის თაობაზე, რომ დატოვებს **“საინტერესო”** პრეზიდენტს და **“საინტერესო”** პრემიერს, ხოლო თვითონ გარედან გააკონტროლებს სიტუაციას, არის ბიზნესმენის ტიპური მდგომარეობა ბიზნესსტრუქტურისადმი: შეექმნა კომპანიას, დაენიშნა ჩემს ხალხს და გააკონტროლებო, მაგრამ სახელმწიფო კერძო კომპანია არ არის.”

რამდენიმე კვირაა, ყოფილი პრემიერი, აწ უკვე პირველი მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი, არსად ჩანს, ის უკვე საკუთარი ტელევიზიის ეთერდანაც აღარ გემოდერავს. სოციალურ ქსელებში ხალხი სვამს კითხვებს – ხად გაქრა ივანიშვილი? რატომ აიღო ხელი **“წარმატების ფორმულის ლექციების კითხვაზე”** და საერთოდ – რატომ მოვიდა პოლიტიკაში ან რატომ წავიდა? იყო თუ არა ის ამერიკული პროექტი და შეასრულა თუ არა ლოკომოტივის ფუნქცია?

ამ და სხვა შეკითხვებზე ექსპერტები და პოლიტიკოსები გვიპასუხებენ.

ასევე ვთავაზობთ ნაწევრებს სხვა ექსპერტთა გამონათქვამებიდან:

პამელა ჰიპპონილი, პოლიტოლოგი:
– რა მოხდა რეალურად საქართველოში? შეასრულა თუ არა ივანიშვილმა ამერიკელების დაკვეთა და ჩაება თუ არა ის ლოკომოტივად იმ პარტიებს, რომლებსაც საკუთარი ძალებით ხელისუფლებაში მოსვლა არ შეეძლო?

ეს შეკითხვა, თავისთავად პასუხსაც მოიცავს. ივანიშვილიც ისეთივე თადლითაა, როგორც სააკაშვილიც. ორივენი ამერიკის დაკვეთის შემსრულებლები არიან. ხომ ხედავთ, სააკაშვილი ოდესის გუბერნატორად დაინიშნა, მას ამერიკელები არ წირავენ და შესაძლოა, მალე საქართველოშიც დააბრუნონ. ივანიშვილი არის თადლითი, რომელიც თავის სიტყვას პატივს არ სცემს. მას აქვს დიდძალი ფული, რომელიც თადლითობით იშოვა. მსოფლიოში ყველა მილიარდერი თადლი-

თია, დაწვეული სოროსიდან... ამერიკელებმა ივანიშვილს თავდაპირველად ოპოზიციონერობა დაავალეს, ის დათანხმდა, თანაც ისე, რომ ქვეყანაზე არც უფიქრია.

– **შესაძლოა, თავდაპირველად ივანიშვილს ქვეყანაზე არ უფიქრია, მაგრამ შემდეგ მისვლა, ვერაფერს გახსენებდა და, ხალხს ილუზიებში რომ არ ეცხოვრა, გადადგა...**

– კი არ გადადგა, ეხარებოდა საქმის კეთება და წავიდა. ივანიშვილს რომ სცოდნოდა, რას ნიშნავს სახელმწიფო და მისი აპარატი, არავითარ შემთხვევაში არ დანიშნავდა ისეთ მინისტრებს, როგორც გვყავს. არ დაიჭერდა საქმეს დღევანდელ პრემიერ-მინისტრთან და არ გაუწევდა რეკომენდაციას მარგველაშვილს... ივანიშვილმა კარგად იცის ფულის შოვნა, თუმცა დღეს უკვე შეეჭვება, რამე იშოვოს, რადგან მასზე ჭვიანი თადლითები გამოიხდნენ.

ვადიაროთ, რომ ამერიკამ ბიძინა დროებით მოიყვანა, თანაც არსად წასვლა – ქვეყანას ისევე მართავს, უბრალოდ, ძალიან ხარმაცი კაცია. მას არ შეუძლია დილით ადრე ადგობა, სამსახურში წასვლა, წერ-იღების კითხვა, ამიტომ იმ რეჟიმს არჩევს, როგორც ახლა არის – როცა უნდა, ადგება, როცა უნდა, დაწვევა, როცა გუნება გამოუკეთდება, ტელეკრანხზე გამოიხდება. ივანიშვილმა კარგად იცოდა იხიცი, რომ, თუ პოლიტიკიდან არ წავიდოდა, ისეთივე ჩასვრილი იქნებოდა, როგორც მისი დანატოვარი ხელისუფლება.

არ იცის ივანიშვილმა ქვეყნის მართვა, ჩვენი ხალხი კი მას ისე უყურებს, როგორც მხსნელს. ადამიანი, რომელიც ასეთ პოლიტიკურ ვითარებაში მათა ფანჯიკიძეს, თან იტრიაბებებს, ჩემი აღმოჩენააო, იდიოტია.

ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსასვლელად მზად არ იყო, ის არჩევნებში მეორე ადგილს ელოდა, მაგრამ **“ცოცხების”** ამბავმა რეალურად შეცვალა, ამერიკელებს ხელს აძლევდათ ამ **“გაურკვეველი ოცნების”** ხელისუფლებაში მოსვლა, რადგან იქ ის ძალები იყვნენ, რომლებიც კურსს არ შეცვლიდნენ.

დღეს საქართველო არის ქვეყანა, რომელსაც არ ჰყავს არც პოლიტიკოსი და არც პოლიტოლოგი. ცისკარიშვილისნაირ გონებაზე გადასულ ადამიანს პოლიტოლოგი არ ჰქვია.

მართალი სიტყვის თქმა ამ ქვეყანაში ძალიან ძნელია, ვერ გაიგებენ, ამიტომ ურჩევიათ ისე ილაპარაკონ, რომ ფული იშოვონ. ჩვენს ქვეყანაში ზოგი ბიძინათი იკვებებება, ზოგი – არასამთავრობოთი და ა.შ. სააკაშვილის დროს იყო **“მიშენდი”**, ახლა არის **“ბიძენდი”**.

დღეს საქართველო ივანიშვილის მოჯამაგირეა!

ზაზა მამუა, თბილისის საკრებულოს ფრაქცია “გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის” თავმჯდომარე:

– ბატონო ზაზა, როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ივანიშვილი ამერიკული პროექტი იმისთვის, რომ ლოკომოტივად ჩაბოძდა იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლა დამოუკიდებლად არ შეეძლო?

– ფაქტია, რომ ივანიშვილმა ამერიკელების დაგეგმვა შეასრულა და მართლაც გამოაცოცხლა ის პარტიები, რომლებსაც პულსი არ ესინჯებოდათ, თანაც ისე, რომ ყველა ამ პარტიის წევრები წამყვან თანამდებობებზე დასვა. დიახ, ეს არის ბიძინა ივანიშვილის ხელით განხორციელებული ამერიკელების სურვილი. სახეზეა მცდელობა, საზოგადოებას თავს მოახვიონ ძალები, რომლებსაც ავტორიტეტი არ აქვთ და ხალხი არ ენდობა.

– **დავუშვათ, ივანიშვილმა ამერიკელთა დაკვეთა შეასრულა, მაგრამ არ ფიქრობთ, რომ მან თავისი წასვლით ხალხის რეალობის წინაშე დაყენებას შეუწყო ხელი, ცოტა ადრე მიგვახსენებდა, რომ საქმე კარგად არ არის?**

– ივანიშვილს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები არ აინტერესებდა. მან 2012 წელს დაკვეთა შეასრულა. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბიძინას საზოგადოებისთვის კარგი საქმეების კეთება უნდოდა, რადგან ფაქტია, **“ნაციონალისტები”** კი არ მოგვაშორა. აქედან გამომდინარე, ის თვალსაზრისით, რომ პოლიტიკა დატოვა, რათა ხალხისთვის რეალურად დაენახებინა,

სწორი არ არის. **“ქართული ოცნების”** მიერ გადაღებული ნაბიჯები სასიკეთო არ არის, ვიცით ისიც, რომ **“ქართულ ოცნებას”** ივანიშვილი მართავს. ბიძინას პოლიტიკა არ დაუტოვებია, არც პირველი პირის თანამდებობა.

პოლიტიკაში ოლიგარქების მოსვლა ყოველდღე დაუშვებელია, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ საქართველო ერთი პირის საწარმოდ იქცა. ყველანი ვხედავთ, რაც მოხდა: სწორედ ისე, როგორც კომპანიის მენეჯერები, მან დანიშნა პრეზიდენტიცა და პრემიერიც, თუმცა მერე გააცნობიერა, რომ აღარ მოსწონს, ასე მოხდა მერის შემთხვევაშიც. ახლახან კი პრემიერის მიერ გაცხადებული ორი მინისტრის ნაცვლად სამი მინისტრი შეიცვალა. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ერთი კაცის ხელში ვართ.

– **“ნაციონალები” დაბრუნდებიან ხელისუფლებაში?**

– **“ნაციონალები”** უკან ვეღარ დაბრუნდებიან, ხოლო ის, რომ ისინი კიდევ ჩანან, **“ოცნების”** ხელშეწყობით ხდება. დეპუტატში თუ შოუბუში **“ოცნება”** მხოლოდ **“ნაციონალებთან”** ჯდება სალაპარაკოდ, სულს უბერავენ, სხვა ოპონენტი რომ არ ჰყავდეთ, ეს კი საკუთარი უსუსურობისა და არაკომპეტენტურობის დასაფარავად სტრატეგიაა.

მასიმ ჰიზინაძე, დიპლომატი:
– ივანიშვილს, ხელისუფლებაში რომ მოდიოდა, მხოლოდ ბოლშაქონდა, სააკაშვილის მოშორება სურდა, თუმცა ახლა ნამდვილად იქცა ურეიტინგო პარტიების ლოკომოტივად, ეს ამერიკელების დაგეგმვა იყო. მას შემდეგ, რაც თავდაცვის მინისტრი ალასანია მოხსნეს და თავიანთი კაცი დანიშნეს, ამერიკელები გააქტიურდნენ და მოითხოვეს ხიდაშელის დანიშნა, რაც დაუყოვნებლივ შესრულდა კიდევ. **“ნაციონალებს”** იმიჯი აღარ აქვთ და მათი დაბრუნება აღარ შეიძლება, ამერიკამ ფსონი რესპუბლიკელებზე დადო.

– **რა გათვალა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლით?**

– არაფერიც არ გათვალა. ივანიშვილმა მოცილია სააკაშვილი, მერე გადაგა განხე და თავისი გამოსრდილი პრემიერი დატოვა, რომელსაც ადვილად მართავს. აქ არის მხოლოდ ერთი გათვლა: რამე რომ მოხდეს, გინდ ამერიკის მხრიდან და გინდ რუსეთის, ივანიშვილი იტყვის – უსისხლოდ გადავაბარე ხელისუფლება სხვა ძალას, წავიდა და რას აკეთებენ, არ ვიცი.

– **იქნებ თავისი წასვლით რეალობა უფრო ადრე დაგვანახებდა, იქნებ არ უნდოდა, ოთხი წელი “ოცნებით” გვეცხოვრა?**

– უამისოდაც მიხვდებოდა ხალხი, რაც მოხდა და თვალცივ ახილებოდა. ვინ ვერ შეამჩნევს იმას, რომ მთავრობის კრიტიკის უფლება მხოლოდ **“ნაციონალებს”** აქვთ, სხვა დანარჩენს კი ხან რას მიაწერენ და ხან რას...

უთამოყვარეო ერი გავხდით. კაცი, რომელიც თამოყვარეობას დაკარგავს, კაცად აღარ ვარგა, ასეა, ერიც... ვიხუების ლიბერალიზაცია ჩვენ არ მოგვცის, სამაგვირად მისცეს ვანუატუს, ამით ნათლად დაგვანახებს, რომ სახლში იმას შეუშვებენ, ვინც სურთ. ჩვენ კი რას ვაკეთებთ? უთამოყვარეოდ ისევ მათ კართან ვართ ატყუხული. ვეროპელებმა და ამერიკელებმა ჩვენს პოლიტიკოსებს რომ უთხრან, მათეუ საერთოვინადაც გადახტითო, გადახტებიან...

– **ივანიშვილიც გადასტევა?**

– ივანიშვილს ბევრი რამ აქვს დასაკარგავი, ჩვენსავით კი არ არის. ივანიშვილი, ამერიკის დაგეგმვა რომ არ შეასრულოს, იმ წუთში უნდა დაიშლება. ბიძინაც ადამიანი და მასაც ეშინია, ამიტომ განხე გადაგა და თავს იმართლებს, – მე ვაგაკეთე ის, რაც ვერაფერს შეძლავ, მე ქვეყანას მიშა მოვაშორეო.

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:
– ივანიშვილმა პოლიტიკაში მოსვლა რომ გადაწყვიტა, უაღტერნატივოდ მდგომარეობაში იყო, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე არ ჰქონდა საშუალება, ახალი სახეები მოეძებნა, თანაც უკვე გამოადებული იყო მთავარი პროდასავლური ძალა რესპუბლიკელების სახით, რომელსაც კარგად იცნობდა დასავლეთიც და ამერიკაც. ქართველი რესპუბლიკელები ამერიკაში მოქმედ ორივე პარტიაზე მეტი პროდასავლურები და პროამერიკელები არიან, ასე ვთქვათ, რომის პაპზე მეტ კათოლიკობას იჩემებენ. ამერიკელები სექსუ-

ალურ უმცირესობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ვიდრე ეროვნულ უმცირესობებს, ასეთები არიან რესპუბლიკელებიც. ამიტომ ბევრი საფიქრალიც არ ჰქონდა, საქართველოში ამერიკელების საყრდენი ძალა არსებობდა. ივანიშვილის გამოუვლად მდგომარეობაში იყო.

ჩემთვის მადრიდის სამეფო კარის საიდუმლოებად რჩება, რატომ მოვიდა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში. ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ივანიშვილს უნდოდა დემოკრატიული ფასეულობების დაცვა. ის ძალიან კარგად იცნობდა იმ მონასტერს, სადაც ნაციონალური **“ლოცულობდნენ”**... ვერ ვხვდები, რა შავმა კატამ გაიბრინა ივანიშვილ-საკაშვილ შორის, ფაქტია, პირადული შედეგი იყო.

– **რატომ წავიდა ივანიშვილი ხელისუფლებიდან?**

– შესაძლოა, იმედგაცრუება განიცადა, მიხვდა, რას წარმოადგენენ პარტიები. გარდა ამისა, ივანიშვილი მიხვდა, რომ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა, მიხვდა იმასაც, რომ ხალხის ნდობის უვადო კრედიტი არ გააჩნდა, ნდობა არ იყო საბჭოთა ობლივიაციასავით უვადო.

– **არ ფიქრობთ, რომ ივანიშვილმა ხელისუფლებაში მოსვლით ამერიკელების დაკვეთა შეასრულა და ურეიტინგო პარტიების ლოკომოტივად იქცა? დღეს, როდესაც ხელისუფლებაში საკვანძო თანამდებობებზე რესპუბლიკელებს ვხედავთ და ყველასთვის მოულოდნელად თინა ხიდაშელი თავდაცვის მინისტრად ინიშნება, ეს არ არის ამერიკელების მოთხოვნა?**

– თინა ხიდაშელის თავდაცვის მინისტრობა დარჩენილი ყველაზე შავ ლაქად ქართული პოლიტიკური ელიტისთვის. დიახ, რაც ხიდაშელის მიმართ მოხდა, ამერიკული დიპლომატიის საფირმო ნიშანია, კერძო პელები ასე არ იქცევიან. ამერიკის ელჩი საჯაროდ ესტუმრა ივანიშვილს და მის კაბინეტში გადაწვდა ხიდაშელის გამინისტრება ისე, რომ ეს ამბავი პრემიერმაც კი ბოლოს შეიტყო.

– **რა ჰქვია ქვეყნას, რომელშიც ვცხოვრობთ?**

– არ შემიძღარი სახელმწიფო ვართ. სახელმწიფო, რომელსაც ერთი კაცი მართავს და არა ინსტიტუტები, არ შემიძღარია. როდესაც ინსტიტუტები მუშაობს, ნაპოლეონიც ვერ შეძლებს ქვეყნის ერთპიროვნულად მართვას. საქმე ის არის, რომ ივანიშვილს არათუ ვალდებულება, თანამდებობაც არ აქვს, თუმცა მაინც მმართველია.

მასტანო მამისია, სამხედრო ექსპერტი:

– მსოფლიოში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა გეოპოლიტიკური მიმართულებებისთვის. ამერიკასა და რუსეთს შორის ცივი ომია, თუმცა ამ ვითარებაში საქართველო მკვეთრად პროდასავლურ კურსს ინარჩუნებს. ეს მიმართულება არც სამართლებრივ და არც პოლიტიკურ დონეზე არავის შეუცვლია.

ამერიკელების მიერ სამხედრო წვრთნების ჩატარება, აგრეთვე, აღდგენილი ამერიკული სამხედროების მონაწილეობა მეტყველებს იმაზე, რომ ამერიკას დიდი ინტერესი აქვს, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად რეგიონის მიმართ. გაემიერებ ისევ, რომ ცივი ომი დაწვეულია და რუსეთი და ამერიკა მოწინააღმდეგეები არიან, ისინი უკვე კონფრონტაციის სცენარებსაც თვალისწინებენ – ამასწინააღმდეგი ინციდენტი შავ ზღვაზე ბრძოლის მოდელირებული ვარიანტი იყო.

გეოპოლიტიკური გადათამაშების სცენარში მოხვდა საქართველო და მეზობელი ქვეყნებიც.

– **ვინ მართავს ჩვენს ქვეყანას და არის კი საქართველო სახელმწიფო?**

– ძალიან რთულია იმაზე საუბარი, როგორი ქვეყანა ვართ. როდესაც სხვა სახელმწიფო შენს აზრს არ იზიარებს, პრეტენზია იმაზე, რომ შედგარი სახელმწიფო ხარ, არ უნდა გქონდეს. ავიდით, თუნდაც მიხეილ სააკაშვილის ფაქტორი. როდესაც მიმე დანაშაულში ბრალდებულ და მებნოდ ადამიანს მეგობარ ქვეყანაში მადლ თანამდებობაზე ნიშნავს, ცუდი ფაქტია. ასეთი შემთხვევების დროს ნათლად ჩანს, რანი ვართ და რას წარმოვადგენთ.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)



როგორია ახალგაზრდობა 21-ე საუკუნეში და რას აკეთებს საზოგადოება მათთვის



ულია, ფიქრობს მომავალზე, რათა თავის ქვეყანას გამოადგეს;

2) თაობა, რომელსაც სწავლა არ აინტერესებს, მათთვის სკოლა ეს არის ადგილი, სადაც შეიძლება დრო გართობაში გაიყვანონ. ამ კატეგორიაში იგულისხმება ბიჭები, რომლებიც უკვე 13 წლის ასაკიდან ყოყმანობენ და ვერცხვად წოდებულ "მეგობრებს" უწოდებენ საკუთარ თავს, მაგრამ იმას ვერ აცნობიერებენ, თუ რას აკლებენ ამით საკუთარ თავს, რადგან სწავლა ყველაზე მნიშვნელოვანია და სწავლის გარეშე ისინი ძველი ბიჭობით ვერაფერს მიაღწევენ ცხოვრებაში;

3) ბიჭების კიდევ ერთი პრობლემა არის ნარკოტიკი, ალკოჰოლი, რითაც თავს იღუპავენ. ზოგიერთი ცდილობს მისი გამოყენების მიზეზი ახსნას, მაგრამ ამის ასხნა შეუძლებელია, ამას იბეზობენ მეორედ, მეხამედ, და უკვე ნარკოტიკს ემონებინან. ყველამ ვიცით, თუ როგორი მავნე ჩვევები აქვს მას. ამ დროს, ისინი თავს ვერ აკონტროლებენ და შეიძლება დიდი უბედურება დატრიალდეს;

4) ესეა გოგონებზეც ვისაუბროთ, ამ კატეგორიაშიც არ არის საქმე კარგად. ზოგი გზას ცდებდა, ზოგი გაუგებარ სექსში წვერიანდებოდა. ამით ის უფალზე უარს ამბობს და ეშმაკს უმეგობრდებოდა. აი, მაგალითად, ერთ-ერთი სექსი "ემო". ისინი ღამის თორმეტ საათზე მიდიან სასაფლაოზე და კატას სწირავენ მსხვერპლად. ესენიც ჩვენი ახალგაზრდები არიან!

რა თქმა უნდა, მათში ყველა ახალგაზრდა არ ითვლება, მაგრამ ეს ყველას ტყვილია. ამის გარდა, კიდევ უამრავი პრობლემა აქვთ ჩვენს ახალგაზრდებს. მაგალითად, ნაადრევ ქორწინება, ოჯახის დანგრევა, ძალადობა და მკვლელობა. 2014 წელს უამრავი გოგონა დაიღუპა - ზოგი ქმარმა მოკლა, ზოგმა თვითონ მოიკლა თავი. მაგრამ საკითხავია, რას აკეთებს ამ დროს საზოგადოება, რას ვაკეთებთ ჩვენ, რომ დავიცვაოთ ისინი. ერთადერთი, რასაც ვაკეთებთ, არის ჭორაობა და მათი გაიცხვება. როცა ძალადობა ხდება ჩვენს თვალიდან, არაფერს არ ვაკეთებთ, რომ მათ დავეხმაროთ. ამ ყველაფერს შორიდან ვუყურებთ. ჩვენ თუ გავხუმდებით, ჩვენ თუ მათ არ დავეხმარებთ, ეს პრობლემა სულ იქნება. არა აქვს მნიშვნელობა 21-ე საუკუნე იქნება თუ 22-ე საუკუნე. მაგრამ კი ისაა, რომ არაფერს არ ვაკეთებთ.

კიდევ ერთი პრობლემა, ესაა ყაჩაღობა. ახლახან 21 წლის ასაკის ორი ხალგაზრდა დააკავეს ყაჩაღობისათვის. ალბათ უჭირდათ, მაგრამ ეს გასასამართლებელი საბუთი არ არის. პრობლემა უამრავია, მაგრამ მთავარი პრობლემა ჩვენშია, ჩვენს ერში - ჩვენ ერთმანეთის სიყვარული დაკარგეთ, ერთმანეთის გატანა და პატივისცემა. მარტო ერთმანეთს ვჭამთ, მეტი არაფერი არ შეგვიძლია. ვცდილობთ ყოველთვის რაღაც ცუდი ვეძებთ ერთმანეთში, მიზეზი კი არ არსებობს. ჩვენი ასეთი ქცევით ჩვენგან ახალი თაობა კარგ

მაგალითს ვერ აიღებს, ჩვენ ვერ ვუსაყვადურებთ მათ, რადგან ჩვენ არ ვართ მათთვის კარგი მაგალითი. მაგრამ ეს უნდა გამოსწორდეს. მე იმედი მაქვს, რომ ეს გამოსწორდება.

2015 წლის 13 ივნისს თბილისს ტრაველია დაატყდა თავს: წვიმა, მდინარის აღიდგება, სახლების დატბორვა. ამ ყველაფერმა თბილისს გული გამოაცალა. 20-მდე ადამიანი დაიღუპა. ეს დიდი ტრაველიაა, მაგრამ შეიძლება უფრო მეტი დაღუპულიყო, რომ არა ჩვენი ახალგაზრდობა, რომლებმაც სიცოცხლის ფასად გადაარჩინეს მოსახლეობა, უამრავი ადამიანი იხსნეს უეჭველი სიკვდილისგან. მეორე დღეს კი უამრავი მოხალისე შეუდგა თბილისის დასუფთავებას. ახალგაზრდებმა შეაგროვეს ტანსაცმელი, საკეები და დახმარება გაუწიეს დაზარალებულებს. ეს კარგია, მაგრამ ბევრად კარგი იქნებოდა, ესეთი თანადგომა კარგ სიტუაციაშიც რომ გამოემყვანებოდა. მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ ამის შანსი მოგვეცემა, მეც ხომ ახალი თაობა ვარ, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ღირსეული ერის შეილება და პატივით ვართ. ჩვენ ყველა პრობლემას გადავლახავთ და გამოვავლებთ ჩვენს ერს, ჩვენს სამშობლოს.

მარიამ ბვასალია
ქ. ფოთი, 15 წლის, მე-11 სკოლის 11
კლასის მოსწავლე

კავკასია ანუ ძველი კოლხეთი



დავიწყებ ამონარიდით ჩვენი წიგნიდან „სიტყვები უძველესი ათასწლეულებს; მისტიური ნოსტრი“ (თბილისი, 2015 წ. გვ.62). „კავკასიის ხალხში, პირველ რიგში იგულისხმება კოლხები, რადგანაც უძველეს ბერძნულ ლექსებში მოხსენიებულია აია-კოლხეთი, კიდევ მეტი, კოლხეთი იყო კავკასიის ძველი სახელწოდება. წიგნში „Легенды Крыма“ (Издательство „Крым“, Симферополь, 1968 г.) 262-ე გვერდზე ვკითხულობთ „Колхида — древнее название Кавказа“.

პირველად ეს წავიკითხე კარგა ხნის წინათ და ჩემში დიდი გაცხადება გამოიწვია, რადგან ქართული წყაროებიდან ამის შესახებ თითქმის არაფერი მხმენოდა. მაგრამ ერთია გააკეთო განცხადება (თუმცა ასეთი განცხადებები ტყუილუბრად არასოდეს არ კეთდება, მითუმეტეს რუსულენოვან ლიტერატურაში) და მეორეა, რომ დაასაბუთო ის.

რადგან ქართველი ისტორიკოსები, ფილოლოგები და ენათმეცნიერები ამისთვის თავს არ იტყობენ, იძულებული ვართ, ჩვენ, არასპეციალისტები, ჩვენეული დოკუმენტისა და ანალიზის საშუალებით ვიმსჯელოთ და გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები.

ჩვენს ზემოთ დასახელებულ წიგნში, იქვე გაგრძელებაში (გვ.62) ვკითხულობთ: „მოსე ჯანაშვილი კი შემდეგნაირ განმარტებას იძლევა თავისი წიგნის შესავალში (მ.გ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1906, გვ.3): „მსოფლიო ისტორია თავის დასაბამშივე შენიშნავს კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის მდებარე ქვეყანას. ეს ქვეყანა ბუნებრივ მდინარე იყო, უხვად ირწყვოდა მდინარე წყლებით, მარად განათებული იყო აღმოსავლეთის ბრწყინვალე მზით და დასახლებული იყო ნიჭიერის და ღამაზის ხალხით, რომელსაც ჰქონდა თავისი სახელმწიფო წეს-წყობილება, საკმაოდ განვითარებული ცხოვრება. ამ ერს ერქვა კოლხი, ხოლო ქვეყანას — კოლხეთი. ბერძენთა მწერალი პლატონი, რომელიც ცხოვრობდა მეექვსე საუკუნეში ქრ. წინათ, ამბობს, რომ მოსხნი (= მესხნი — ქართველები) კოლხის გვარტომნი არი-

ანო. მაშასადამე, თვით კოლხიც ყოფილა იგივე ქართველი“.

მოსე ჯანაშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის ერთადერთია, რომელიც კავკასიას (ანუ არეს კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის) კოლხეთად მოიხსენიებს, მაგრამ გაცხადებს იქვე მისი საბოლოო დასკვნა. კოლხები, რომ ჭეშმარიტი ქართველები არიან ამაში ეჭვი არავის ეპარება, მაგრამ ჰეკატეუს დროს სიტყვა „ქართველი“ არ არსებობდა და მისი იყვნენ არა უშუალოდ ქართველები, არამედ ქართველური მოდგმის კოლხური ტომები.

ახლა გადავიდეთ უშუალოდ კავკასიური ტომების ეთნოგენეზის საკითხზე.

დავიწყოთ დავალებით.

ჯერ ვნახოთ თუ რა წერია ამ ტომის შესახებ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 3, გვ. 490):

„დავლები, იბერიულ-კავკასიური ტომი ძველ საქართველოში, ანტიკურ წყაროებში (პლინიუს უფროსი, პტოლემე) პირველად მოხსენიებულია ახ. წ. I-II სს-ში თაღის, ვალის, უღლის სახელწოდებებით. სახლობდნენ ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში — დარიალის ხეობასა და მამისონის უღელტეხილს შორის — ისტორიულ დავლეთში. მეცნიერები დავლურ ენას აკავშირებენ ნახურ (ინგუშურ-ჩანჩურ) და ქართველურ (ხანურ) ენებთან. დავლები ადრინდელ შუა საუკუნეებშივე მოექცნენ ერთიან ქართულ კულტურულ-პოლიტიკურ გარემოში. IV საუკუნიდან დავლებში ქართველი მისიონერები ქრისტიანობას ავრცელებდნენ. ჩრდილოეთ კავკასიაში მონღოლთა შემოსევების (XIII ს.) შედეგად კავკასიონის მთიან ზოლში დაიწყო მიგრაციის პროცესი; დავლეთში სახლდებოდა ოსური მოსახლეობა, დავლები კი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე გადასახლდნენ. XVIII ს. დასაწყისისათვის დავლებს ასიმილაციის პროცესი დასრულდა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეერწყა ქართლის, რაჭისა და იმერეთის მოსახლეობას, დავლეთში დარჩენილი ნაწილი კი — ოს მოსახლეობას“.

დავლის შესაბამისი ფორმაა დოლ-ი. ოს გადასვლა ვა-ში ჩვეულებრივი მოვლენაა ქართველური ენებისთვის. მაგალითად: თვალი — თოლი (თვალი) და მრავალი სხვა. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია გვარები: დოლ-ბაია, დოლ-ი-ძე, დოლ-ა-ბერი-ძე და სხვა. ეს მომენტი კიდევ უფრო ნათელს ხდის დავლთა ქართველურ — ხანურ წარმომავლობას.

ახლა კი მოვიყვანოთ ამონარიდები სტატიიდან „დავლები“, რომლის ავტორია რ. თოფჩიშვილი (ენციკლოპედია „საქართველო“ ტ. 2, გვ. 389): „... დავლები

ძირითადად კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მკვიდრობდნენ. დავლები განსახლებული იყვნენ აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მდინარე დიდი ლიახვის ხეობის უკიდურეს ზემო წელში, რომელსაც მალრან-დავლეთი ეწოდებოდა... დავლები, რომლებიც ალაგირის ხეობიდან დავლეთში შემოჭრილმა ოსებმა დაჯახნეს, იძულებული გახდნენ აურილიყენენ მამა-პაპათა საცხოვრისიდან და განსახლებულიყვნენ საქართველოს სხვა რეგიონებში (რაჭა, ზემო იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე), სადაც მტერთა ხშირი თავდასხმების გამო ბევრი ნასოფლარ-ნაოხარი იყო. დავლეთში დარჩენილი დავლები მიგრანტი ოსების ენობრივ-ენიკურ გარემოში გაოსდნენ. როგორც ხშირად ხდებოდა, მოსულმა ოსურმა ეთნიკურმა ერთეულმა დავლების სახელწოდება მიიღო... ქართულ წყაროებში (ქართლის ცხოვრება) დავლებით დასახლებული „ქვეყანა“ — დავლეთი — პირველად ნახსენებია III-ს. შუა ხანებში მეფე ამაზასპის დროს. მეცნიერებაში დავლების ეთნიკური წარმომადგენლობის შესახებ სხვადასხვა შეხედულება არსებობს. ქართული წყაროების მიხედვით, ისინი ჩვეულებრივი ქართველი მთიელები იყვნენ. ისევე როგორც ფხოველები, თუშები, წანარები, გუდამაყრელები, ხადლები, ცხავატელები, ქართველი... ოსი მეცნიერები დავლებს უსაფუძვლოდ მიიჩნევენ ირანული წარმომავლობის ტომად... დავლების შესახებ ფუნდამენტურ გამოკვლევაში ვ. გამრეკელმა ისინი დაუკავშირა ნახურ (ინგუშურ-ჩანჩურ) სამყაროს, რომლებიც ადრეფეო-დალურ ეპოქიდანვე გაქართველები იყვნენ, თუმცა შემდგომი კვლევა-ძიებით მან ეს შეხედულება უარყო და დავლთა ენა ქართველურ (ხანურ) ენას დაუკავშირა. მეცნიერებაში არის შეხედულება დავლების სვანური წარმომავლობის შესახებაც. უკანასკნელი გამოკვლევით, რომელიც ემყარება სანსტორიო წყაროების, საბუთების, ტომონიმების, ანთროპონიმების კომპლექსურ შესწავლას. ცხადი შეიქმნა, რომ დავლეთი ეთნიკურად ქართულ-ქართველური ქვეყანა იყო, დავლები კი — ხანურთან ახლოს მდგომი ტომი, თუმცა ხანების (მეგრელების) სრულ ახლს არ წარმოადგენდნენ. დავლები ხანებსა და სვანებს შორის მდგომი ქართული ტომი იყო და ლაპარაკობდნენ ერთ-ერთ დამოუკიდებელ (აწ გადაშენებულ) ქართველურ ენაზე, რომელსაც ყველაზე მეტი საერთო ხანურთან ჰქონდა...“

როგორც ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებს ეძახის ტუალებს (მ. ჩუხუა), რაც ერთი მხრივ, არის ბიბლიური ტუბალი, ხოლო მეორე მხრივ, დავალი (დავალი, დუვალი, ტუვალი, ტუბალი), რაც

კიდევ უფრო განამტკიცებს მოსაზრებას სტატიიდან რ. თოფჩიშვილისა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ.

ახლა კი ვისაუბროთ წანარების ტომის შესახებ.

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ტ. 11, გვ. 290) ვკითხულობთ: „წანარები, ერთ-ერთი ქართული (კახური) ტომი უძველესი დროიდან ბინადრობდნენ დარიალის ხეობის (ისტ. წანარეთის ხევის) ტერიტორიაზე. ტომის სახელის მიხედვით ქვეყანას წანარეთი ეწოდებოდა. წანარები განსაკუთრებით დაწინაურდნენ VIII-IX სს-ში. აქტიურად მონაწილეობდნენ VIII-IX სს. კახეთის სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში“.

იქვე ვკითხულობთ:

„წანარეთი, ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მოიცავდა დარიალის ხეობის ზემოთ, ჯვრის უღელტეხილისა და მისი მიმდგომი რეგიონის ტერიტორიას — წანარეთის ხევს... წანარეთად იგულისხმებოდა კახეთის მთიანეთი — „მთიულეთი კახეთისა“ (მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გარკვეულ პერიოდში პოლიტიკური ასპექტით წანარეთი მთლიანად კახეთს ეწოდებოდა). ტრადიციულად წანარეთის ხელისუფალს დაკისრებული ჰქონდა დარიალის ხეობის კონტროლი და განსაკუთრებით უღელტეხილის დაცვა ჩრდილოეთიდან, მომთაბარე ტომთაგან...“

როგორც ცნობილია კოლხეთში ბარის მეგრელებს ღაზებს უწოდებდნენ, ხოლო მთის მეგრელებს ჭანებს.

იგივე ხდება აღმოსავლეთ საქართველოში.

წანარეთი (ჭანარ-ეთი, ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ) არის ისტორიული მხარე აღმოსავლეთ საქართველოს სწორედ მთიანეთში, ხოლო ალაზნის ვაკე, ალაზნის ველი, ეს უკვე ბარია (ლაზონა ღაზურად ღაზეთია).

როგორც ცნობილია ქართულ ასობგერა „წ-ს“ შესახებ კოლხური „ჭ“ (მაგალითად: ქართული „წითელი“ — მეგრული „ჭითა“, ქართული „წვიმა“ — მეგრული „ჭვიმა“ და ა.შ.) ასე რომ „წანარი“ მეგრულ-ლაზურად იქნება „ჭანარი“, რაც ნიშნავს „ჭანელს“, ისევე როგორც ოდიშარი — ოდიშელი, ხუნწარი — ხუნწელი და ა.შ.

აქედან კი შეიძლება დავასკვნათ, რომ წანარები კოლხური მოდგმის ტომი ყოფილან.

ნუბზარ კვაშილაშვა
„ფაზისი“-ს აკადემიის ნამდვილი წევრი
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ბიორბი მარბეშვილს

თბილისში 2015 წლის 13 ივნისს მომხდარი სტიქიური უბედურების თაობაზე თქვენს სახელზე აღბათ უამრავი ინფორმაცია შემოდის, მაგრამ ჩვენი თხოვნა იქნება დაწვრილებით გაცნობთ ამ წერილსაც, რადგან, ვფიქრობთ, რომ იგი, აღნიშნული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, უდავოდ დაგაინტერესებთ!

საქმე ეხება პრობლემას, რომელიც არაერთგვარადაა საზღვრებს შორის დედაქალაქის მკვლევრებს და, სამწუხაროდ, ხშირად ხდება მოქალაქეთა ტრაგედიის მიზეზი. საუბარი თბილისში და მის ფარგლებს გარეთ განაღებულ მშენებლობებზე, რომელიც, სამწუხაროდ, ხშირად მიმდინარეობს ყოველგვარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა (გზშ) და ლანდშაფტის თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. დღეს სპეციალისტები ძალიან ბევრს საუბრობენ ამ პრობლემაზე, მაგრამ განსჯა ხდება სტიქიური უბედურების თავს დატეხვის შემდეგ, რაც ფაქტობრივად დაგვიანებულია. არა და, თავის დროზე რომ გაკეთებულიყო სათანადო საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები (მხოლოდ ინჟინერ-გეოლოგების და არა სხვა დარგის სპეციალისტთა მიერ), ალბათ უამრავ ტრაგედიას ავიცილებდით თავიდან. ახლა კი, როგორც ამბობენ, ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევა და დამნაშავეთა ძებნა გვიწევს, რაც დიდი ვერაფერი შედეგათაა ქალაქის ბიუჯეტისათვის მიყენებული ზიანისა და სტიქიური უბედურების შემოტყვის შედეგად დაღუპულთა ახლობლებისათვის!

არ გვინდა წინასწარ გავხედოთ მოსალოდნელი უბედურების მაწველებზე, მაგრამ ფაქტია, რომ თუ არ მოხდა თბილისსა და სხვა ქალაქებში ასაშენებელი კორპუსების საძირკვლებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) და მიღებული მონაცემების მისადაგება არსებულ ნორმატივებთან, გამოიცხადებული არ არის, რომ საშუალო სიმძლავრის მიწისძვრამაც კი აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენოს მოსახლეობას, აქედან გამომდინარე უმძიმესი შედეგებით. არა და, ამის საშიშროება უდავოდ არსებობს, რადგან საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა, განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში, მიმდინარეობს ქაოტურად, შემკვეთთა დაჟინებული მოთხოვნით, ყოველგვარი საფრთხეების იგნორირებით. სამწუხაროა, რომ შემკვეთს ნაკლებად აინტერესებს მის მიერ აგებული კორპუსის შედგომი მდგრადობის ბუდი და ძირითადად ფინანსურ მოგებაზეა ორიენტირებული.

მაგრამ, რეალურ ხიფათს ქმნის ის გარემოებაც, რომ თავად სამშენებლო ნორმატივები შედგენილია დიდი ხარვეზებით,

რაც ამ საქმეში არსებული ყოველი უთავბოლოების ძირითად მიზეზს წარმოადგენს.

ნურავინ იფიქრებს, რომ “ვერარქის” კატასტროფით ამოიწურა იმ პრობლემათა ჯაჭვი, რომელიც დღესაც საქმოდ ბევრი დამოკლეს მახვილით ჰკიდია ქალაქის თავზე. მინდა შეგახსენოთ, რომ ჯერ კიდევ კომუნისტურ ეპოქაში არსებობდა ქალაქ თბილისისა და რუსთავის სპეციალური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პარტია, რომელთან კოორდინირებულად მუშაობდნენ მშენებლები. სწორედ ამ სტრუქტურის და, უფრო მეტიც – გეოლოგიის დეპარტამენტის (“საქგეოლოგია”) გაუქმებამ, ქალაქის არქიტექტურის სამსახურს გაუხსნა ხელები, რამაც გააიოლა მშენებლობის პროცესებზე ნებართვების დაწვება და ამ საქმეში სათავე დაუდო სრულ ბაკანალიას.

გეოლოგიის დეპარტამენტი გაუქმდა მხოლოდ იმიტომ, რომ კომერციულად მომგებიან შერობაში იყო განთავსებული და ამ შერობის ადგილმდებარეობის რეალიზაციით დამნაშავე ჩინოვნიკთა ჯგუფმა დიდი მოგება ნახა. ქვეყანას კი გამოუსწორებელი ზიანი მიადგა. რაც შეეხება მშენებლობებს, ნებართვის გაცემის უფლება მთლიანად თავის თავზე აიღო მერიის არქიტექტურის სამსახურმა, რომელსაც საინჟინრო-გეოლოგიურ სფეროში არავითარი კომპეტენცია არ გააჩნია და არც ნორმატივებს ითვალისწინებს.

სწორედ იმიტომ არსებობს თბილისში რამდენიმე საფრთხის შემცველი უბნები, რომელთა შორის ყველაზე საშიშად მიგვაჩნია მამა-დავითის ფერდობი. ალბათ გახსოვთ, ფერდობზე გზის გაყვანის დროს (1974 წელს), ანტროპოგენული (ადამიანის არასწორი ჩარევით) ფაქტორის შედეგად დაიშალა გზა, რამაც ორი ადამიანი იმსხვერპლა. სწორედ ამის შემდეგ შეიქმნა ქალაქ თბილისისა და რუსთავის სპეციალური ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პარტია, რომლის ნებართვის გარეშე, როგორც იტყვიან, თბილისს ჩიტიც კი ვერ გადაუფრენდა. მაგრამ, როგორც ჩანს, ფინანსურ მოგებას დახარბებულ ადამიანებს სხვა გეგმები ჰქონდათ და, ამიტომაც მოხდა აღნიშნული გეოლოგიური პარტიის ლიკვიდაცია. სახელდახელოდ გაიცა ნებართვა, ამას კი მოჰყვა განმეორებითი მეწყერი მაყაშვილის ქუჩაზე, ავტოგასამართი სადგურის მშენებლობაზე, რასაც (2005 წელს) ასევე ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. არა და, შპს საინჟინრო კვლევის ცენტრს “საინჟინგეოს” ამ მშენებლობაზე ნებართვა პრინციპულად ჰქონდა აკრძალული, რომელიც არად იქნა ჩაგდებული.

გეოლოგების იგნორირებას რომ დამანგრეველი შედეგები მოაქვს ხოლმე, ამაში მსოფლიოს მრავალგზისი სამწუხარო გამოცდილება მოწმობს. ჩვენ კი, ვერა და ვერ ვისწავლეთ ჭკუა და სრულიადაც არ გვწევთ ანგარიშს იმ გარემოებას, რომ თბილისი ხეობაში მდებარეობს და გეოლოგიურად საკმაოდ რთულ სამშენებლო მოედანს წარმოადგენს! ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ჩვენს თავზე დატეხილი უბედურებიდანაც ვერ ვაკნებთ საჭირო დასკვნებს, რადგან ვერაზე მომხ-

დარ კატაკლიზმზე ახრი გამოთქვებს ოკეანოლოგებმა, გეოგრაფებმა, ჰიდროლოგებმა და არქიტექტორებმა, მაშინ როცა არცერთ ინჟინერ-გეოლოგს არ მიეცა კომპეტენტური დასკვნის გაცემის საშუალება. სავარაუდოა, რომ ინჟინერ-გეოლოგის მოსაზრება ხელსაყრელი არ იქნებოდა იმ ხალხისათვის, ვისი გამოისობითაც დაგვატყდა თავს დიდი ტრაგედია.

აღსანიშნავია, რომ მდინარე ვერეს ხეობაში ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე პროექტი შედგენილი იყო ვაკეზე მდებარე ქალაქ დუბაის გამოცდილების გაზიარებით, რაც მთაგორიანი ადგილისათვის სრულიად მიუღებელია. ამიტომაც მივიღეთ შედეგად ის, რაც მივიღეთ. ამგვარი ინფრასტრუქტურის ასაშენებლად გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ ადგილმდებარეობის თავისებურება და შორიახლოს ჩამავალი მდინარის დებეტი, არამედ ამინდი და ჭარბი ატმოსფერული ნალექების მოსალოდნელი ჩამოდინების ადგილებიც. ხოლო მდინარის ხეობაში ინფრასტრუქტურის ასაშენებლად გამოყენებული უნდა ყოფილიყო დია ტიპის კალაპორტი (ოროგენეზის შემდგარი გზებით და ესტაკადით), რომლის გამტარუნარიანობა იქნებოდა არანაკლები 500-600 ლიტრი წყალი წამში. მაგრამ ბევრად მეტ უსაფრთხოების გარანტიას მოგვცემდა მდინარის კალაპორტის გამტარუნარიანობის გაზრდა 800 ლიტრამდე წამში, ღია არხით და არა დახურული წყალგამტარი გვირაბებით.

აქვე ჩამოვთვლით იმ უბნებს, სადაც მოსალოდნელია საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარება.

მამადავითის ფერდობი; მდინარე ვერეს ხეობა;

“პანორამა-თბილისის” სამშენებლო მოედანი სოლოლაკის მიმდებარე ტერიტორიები;

თემქის მე-4 მიკრორაიონი (საავტომობილო გზის გასწვრივ);

ვაშლიჯვრის ტერიტორია – “მათე-მორტოსის” მიმდებარე;

ვაკის ტერიტორია;

წყნისა და ქუჩის მიმდებარე ტერიტორიები

– კეკელიძის ქუჩის ზემო გაგრძელებაზე; ჩვენს მიერ აღნიშნული ფერდობები ფრიად ყურადსაღებია, რადგან მათი ქანების



(გაგრძელება მე-2 გვერდიდან)

ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე პასუხისმგებლობას ვის აკისრებთ?

– იცით, ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა თავისი არჩევანი და წავიდა პოლიტიკიდან... დატოვა პოლიტიკური ძალა, რომელსაც ყველა ბერკეტი უჭირავს ხელში იმისთვის, რომ ქვეყანა მართოს, მაგრამ თავს ვერ აბამს. ეს არის ძალა, რომელმაც სამართლიანობა არ ადარგინა. ხალხი ყველაფერს ამერიკელებს აბრალებს, მაგრამ გვესინჯა და დაგვედო უცხოელებისთვის მტკიცებულებები იმ დანაშაულებებისა, რომლებიც წინა ხელისუფლებამ ჩაიდინა და იქნებ ჩვენი მხარე დაეჭირათ, ჩვენმა ხელისუფლებამ ხომ ესეც არ გააკეთა?!

ობამას ადმინისტრაციას ვერ უყვარს სააკაშვილი და ის ძალიან შორს გაუშვებს.

– ახალი ხელისუფლება უყვარს?

– ამერიკა ითვლება საქართველოს პარტნორ ქვეყნად. ამ ქვეყანას საქართველოს მიმართ აქვს გამოკვეთილი პოზიცია და ინტერესებიც. ვფიქრობ, სააკაშვილის მოშორება ობამას ადმინისტრაციის დაკვეთით მოხდა, მათ გარეშე სააკაშვილის მოშორება გაჭირდებოდა.

პლიზარ ჯამელიძემ, აკადემიკოსი: –

ქართველები მხოლოდ ამერიკის დაკვეთას კი არ ვასრულებთ, არამედ იმ პოლიტიკას ვატარებთ, რომელსაც ეს ქვეყანა მსოფლიოში ახორციელებს. დაკვეთა ერთია, გავალებენ და იძულებული ხარ, შეასრულო, მაგრამ ჩვენები სისხლხორცეულად არიან ჩებმული ამ საოცრად არაკაცთმყოფარე, არაპუმანური პოლიტიკის გაგრძელებაში მსოფლიოს მასშტაბით. უპირველეს ყოვლისა, ბრძოლა მიმდინარე-

რაჭოა მოვიდა ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში?

ობს ერის, ხალხის, ოჯახისა და სამშობლოს წინააღმდეგ, რაც ძალიან სამწუხარო ფაქტია. სამწუხაროა, ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ბელს, ხელისუფლებაზე მეტად ამერიკის ელჩი წვევს... ამბობენ, საბჭოთა კავშირის პერიოდში მოსკოვში წყდებოდა ჩვენი ბუდიო, მაგრამ კარგად მახსოვს, კანდიდატურას საქართველოში არჩევდნენ და მოსკოვში მტკიცდებოდა. დღეს რავეინ გვეკითხება, ვინ უნდა დავინშნოთ... ჩემთვის

საშინელება იყო ის, რაც ამერიკის ელჩმა თინა ხიდაშელის მინისტრად დანიშნისას ჩაიდინა.

ამერიკა ყველა ქვეყნის პოლიტიკაში ხელს აფათურებს, მაგრამ ის, რაც აქ მოხდა, საშინელებაა. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რა ჩაიდინა ამერიკამ მსოფლიო ფეხბურთის პოლიტიკაშიც. ეს მიუღეს სამყაროს თავის მოჭრა, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო საჯდომის ქვეშ ჰყავთ ამოდებული.

– ივანიშვილმა შეასრულა თუ არა ამერიკული დაკვეთა, როდესაც ხელისუფლებაში ურეიტინგო პარტიები მოიყვანა?

– ივანიშვილის მეტს არავის შეეძლო სააკაშვილის მოშორება, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ივანიშვილის გარეშე ვერც რესპუბლიკური პარტია და ვერც ალანსანია ხელისუფლებაში ვერ მოვიდოდნენ... ის, რომ თინა დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, საგანაგაშოა, მაგრამ შეხედეთ, რა ხდება სხვაგან... სააკაშვილი და მისი

“ხელები და ფეხები” დაინიშნენ თანამდებობებზე, ყველაფერი გასაგებია... ეს იგივეა, მე პეკინის მერად დაინიშნო... ამ ფაქტით ამერიკა გვიწვევებს, რომ არც უკრაინა ადარდებს და არც საქართველო, უბრალოდ, მსოფლიოს მართვას ცდილობს. საქართველოში მიმდინარე მოვლენები ამერიკის განსაზღვრულია. ჩვენი ქვეყანა დენტის კასრზე ზის! ამერიკელებს 2012 წელს ეშინოდათ, რევოლუცია არ მომხდარიყო და სააკაშვილი არ წაეღეკა, რადგან ზეგაფლენას დაკარგავდნენ...

– რა პქვია ჩვენს ქვეყანას?

– ჩვენ არ ვართ ამერიკის შტატი, რადგან მათ, ყველას თავისი უფლებები გააჩნიათ... ამ ლოგიკით თუ გავყვებით, უფრო კოლონიას ვვართ. ჩვენი სურვილები და ქართული ინტერესები ვერ განვახორციელებთ და ვერც განვახორციელებთ, თუ ეს სისტემა არ დაინგრევა, სისტემა, რომელიც სააკაშვილის მიერ ამერიკის მითითებით არის შექმნილი. თუ ასე არ მოხდა, არაფერი გვეშველება და სახელმწიფოც ვერ გავხდებით. არსებული სისტემა ხერხემალში ამტვრევს საქართველოს.

მომზადდა მბა ნასშირვაშვილმა



ნორმალურ ძველანაში – „ომისთვის მშვიდობიანობისას ემზადებიან“!

პოეზიის გულისეული

ვერეს ხეობაში მომხდარი სტიქიური უბედურების დღეებში, შეგნებულად ვარიდებდი თავს მომხდარის შეფასებას, კრიტიკული აზრის გამოთქმას, მაგრამ იმდენი არაკომპეტენტური და ტრაგედიის გაშარებამდე მისული წერილები და კომენტარები წავიკითხე, რომ, როგორც იტყვიან, – ცდუნებას თავი ვერ დავადლო.

ვერეს ხეობის კატასტროფას, სოციალურ ქსელში და სხვა მედიასაშუალებებში, უამრავი პოლიტიკოსი, პოლიტიკიდან წასული (თუ გაგდებული), პოლიტიკაში მოსვლის მსურველი, ე.წ. არასამთავრობოები და ვინ მოთვლის, ვინ არ გამოეხმარა!

თავდაჯერებულ „მწერალ-ექსპერტთა“ შორის, აშკარად გამორჩეული ფანტაზიით, ყველაზე შორს ბატონი თამაზ ჭეიშვილი წავიდა. უცვლელად გთავაზობთ მის ნააზრევს, მომხდართან დაკავშირებით, რომელსაც, როგორც იხილავთ, მკითხველი არ მოკლდება: „რატომ არ გამოიყვანეს შეველმფრენებით ადამიანები ვერეს ხეობიდან? 17-06-2015, 12:59 ნანახია: 1325

შედიო „იუთუბზე“ და ნახეთ, როგორ ოპერატიულად მოქმედებს ავიაცია და როგორ გამოიყვანეს შეველმფრენებით დასახრჩობად განწირული ადამიანები ვერეს ხეობაში, ამერიკაში, რუსეთში!

ნახეთ, როგორ ეშვებიან ბაგირებით მაშველები და პირდაპირ ავტომობილის და წყალში ჩაბირული სახლების სახურავებიდან აყავთ განსაცდელში ჩაგარდნილი ადამიანები.

უამრავი ზარი შედიოდა ვერეს ხეობიდან 112-ის ოპერატორებთან! რატომ არ მიიღეს ზომები, რატომ არ გამოიყენეს შეველმფრენები ხალხის გადასარჩენად?

ვეკითხები ამ ხელისუფლებას, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს! რატომ?! რატომ?!

თავმოყვარეობა რომ ჰქონდეთ, ბევრი მაღალჩინოსანი უნდა გადადგეს თანამდებობიდან ამ ტრაგედიის შემდეგ! „ნაციონალურმა“ რეჟიმმა თავისი ცოდვებისთვის უნდა აგოს პასუხი, ამ ხელისუფლებამ კი დოჟალაპობისა და არაოპერატიულობისთვის! ტალახში ღორებიც კი დააბოტებენ!

თამაზ ჭეიშვილი.

ბატონო თამაზ, არ გამიბრაზდეთ და შეურაცხყოფად ნუ ჩამითვლით, რასაც ახლა გეტყვი: – რატომ ერევით იმ საქმეში, რაზედაც ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გაგაჩნიათ?

სად ვერეს ხეობაში მომხდარი წყალდიდობით გამოწვეული სტიქია და სად უპუნღამოში შეველმფრენის შესაძლებლობა?!

– თუ ამ მთავრობის გაშავება გინდათ, სხვა, უფრო დამაჯერებელი ფაქტები შეგიძლიათ მათ გადმოუღაგოთ, თუნდაც, რამდენიმე კვირის წინ, იმავე ვერეს ხეობაში, შედარებით მცირე მასშტაბის წყალდიდობამ ელიზბარაშვილების ცხოველთა თავშესაფარი რომ დააზიანა!

რატომ არ ჰკითხავთ მათ, – რა ღონისძიებას მიმართეს ამ მცირე სტიქიის მიზეზების გამოსაკვლევად?

– თუნდაც, მდინარე ვერეს ხეობა და სათავე თუ გამოიკვლიეს?

დარწმუნებული ვარ, ეს რომ მაშინვე გაეკეთებინათ, აუცილებლად შეატყობდნენ ცვლილებებს ხეობასა და მთის კალთებს. არამც თუ პროფესიონალი სპეციალისტი, – ხეობაში, მთაში გაზრდილი გლეხიც კი შეამჩნევდა მოსალოდნელ საშიშროებას, მზადყოფნაში დაგვიდებოდა სტიქიას, ნგრევას თუ არა, სიკვდილს მაინც ავიცილებდით თავიდან და გაცილებით იოლად გადავიწყობოდათ მომხდარ ტრაგედიას!

– იქნებ ეს უნდა გეკითხათ მთავრობისთვის და, არა შეველმფრენები, რემბო და დევიდ ჰასსელჰოფი მოგეთხოვით თავის „მაშველებიანთ“?!

– 1989 წლის 19 აპრილს აჭარაში მომხდარ სტიქიას 42 ადამიანი შეეწირა. ხულოს რაიონის სოფელ წაბლანაში სოფლის მთა ჩამოიქცა, სამოციდათი მეტრის სიღრმის ხეობა ამოავსო წარდგნამ და მთელი სოფელი ქვეშ მოიყოლა. მაშინდელი სტიქიის მასშტაბები გაცილებით დიდი იყო, ღმერთმა ყველა ძეხორციელს აშოროს მსგავსი!

საქართველოს ტელევიზიის „სახალხო მეურნეობის გადაცემთა რედაქციის“ გადაცემა ჯგუფმა ფეხით მოვიარეთ მაშინ მთიანი აჭარა (იხ. ჩემს ფეისბუკვერზე „აჭარა-ჯავახეთი“ დოკუმენტური მასალა რუბრიკიდან „ოღეს კაცსა დაეჭირვოს“ 1989წ.). მასსოვს, წაბლანის გარდა, ყველა, მეტნაკლებად საშიში ადგილი გადავიდეთ და იგი საფუძვლიანი გამოკვლევის შემდეგ მივაწოდეთ ტელემაყურებელს!

– ეტყობა გული მიგრძობდა, რაღაცა ცუდი უნდა მომხდარიყო, – 26 წლის შემდეგ, ვერეს ხეობის ტრაგედიამდე ორი დღით ადრე, 11 ივნისს გამოვიტანე, დღისათვის ისტორიულ, დოკუმენტურ მასალად ქცეული ტელეგადაცემა ფეისბუკვერზე!

ერთსულოვნება და თანადგომა იმას ჰქვია, მაშინ რომ გამოვლინდა საქართველოში!

ეს სხვა საუბრის თემაა და სხვა დროს მივუბრუნდები მას, მაგრამ, როცა წარმოვიდგენ იმ დღეებთან დაკავშირებულ ყველა წერილს, არ მასხენდება, აჭარის რაიონების ხელმძღვანელებთან ერთად (რომლებიც მოსახლეობის დიდ ნდობასთან ერთად, ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ თავიანთ საგამგებლო ტერიტორიას), გეოლოგების და სეისმოლოგების გარდა, თავდაცვის, შს-ს მინისტრი, პრემიერ-მინისტრი და მით უმეტეს ცეკას პირველი მდივანი (მაშინ პრეზიდენტი არ ჰყავდა საქართველოს) სადმე შეგვხვდნოდნენ!

– არა იმიტომ, რომ გული არ შესტკიოდათ მომხდარზე, – არა ბატონებო, მაშინ ყველა დარგს კომპეტენტური და პროფესიონალი ხელმძღვანელი ჰყავდა, გეოლოგის საქმეს გეოლოგი აკეთებდა, სეისმოლოგისას სეისმოლოგი, ექიმისას ექიმი... და ნდობა და გარანტია ერთმანეთის ადეკვატური იყო!

ბოდიშს ვიხდი, თემას გადავუხვიე. შეველმფრენებს მივუბრუნდეთ. ბატონო თამაზ, თქვენ თუ ეს განცხადება იმიტომ გააკეთეთ, რომ ხელმოკარული, ნაფტალინის სუნად ქცეული, ხშირ შემთხვევაში ტვინაკლული ე.წ. პოლიტიკოსები და ინტრიგანები აიყოლიოთ და თქვენ გვერდიდან უყუროთ ამ სეირს, სხვა ამბავია, მაგრამ იგი მაინც უადვილოა და არ უხდება იმ ტრაგედიას, რომელიც ყველა ჩვენგანს დაგვატყდა თავს, ეს სახუმარო და საოხუნჯო არ არის!

– რას ნიშნავს თქვენი მოწოდება, – „თავმოყვარეობა რომ ჰქონდეთ, ბევრი მაღალჩინოსანი უნდა გადადგეს თანამდებობიდან ამ ტრაგედიის შემდეგ!“

– თქვენ თუ ეჭვი გაქვთ, რომ დღევანდელმა „მაღალჩინოსნებმა“ დააგუბეს ვერეს წყალი ხეობაში და მოსახლეობისგან მოულოდნელად დაუშვეს ღვარცოფი ადამიანთა და ცხოველთა წარსახოცად, დაგვარწმუნეთ და ხვალვე ჯოხებით გავრეკოთ დამნაშავე ძაღლის შვილები!

რაც შეეხება თქვენი წერილის დასასრულს ნათქვამს, – „ნაციონალურმა“ რეჟიმმა თავისი ცოდვებისთვის უნდა აგოს პასუხი, ამ ხელისუფლებამ კი დოჟალაპობისა და არაოპერატიულობისთვის!“ – იგი გამოსაძიებელია, ოღონდ, – „შველმფრენების, რემბოების და ჰასსელჰოფების მთხოვნის გარეშე!“

სიტყვამ მოიტანა და არ შემოძლია ღრმა გულისტკივილი არ გამოთქვა მიმდინარე წელს მომხდარი სტიქიური და სახანძრო კატასტროფების სიმრავლეთა გამო.

გერმანელებს, ასეთი შემთხვევებისადმი მიდგომის და თავიდან აცილების, ზედმიწევნით მისადაგი გამოთქმა აქვთ, – „ომისთვის მშვიდობიანობისას ემზადებიან!“

იგივე ითქმის წყალდიდობაზე, ხანძარზე, მიწისძვრაზე და ზოგადად სტიქიურ უბედურებებზეც!

წელს, კატატროფის პირველმა ზარმა ქობულეთში ჩამოქცა, სადაც – „მშვიდობიანობისას დავიწყებული სამზადისის გამო“ – სამი მოზარდის სიცოცხლე შეიწირა ხანძარმა!

როგორც ხანძრის მიზეზების შესწავლამ ცხადყო (იგი სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ ვიდეო-

ებზეც ნათლად ჩანს), ქობულეთის სახანძრო სამსახურს, თანამედროვე, ხანძარსაქრობი ტექნიკა რომ ჰყოლოდა, ჩვენი დროის უსახელო გმირები, – „ქართველი მეხანძრეები“ – სტიქიას დაამარცხებდნენ და სამი მოზარდის სიცოცხლესაც იხსნიდნენ!

...სამწუხაროდ, მას შემდეგ, ხანძარმა, კიდევ რამდენიმე ათეული ადამიანი იმსხვერპლა, მათ შორის, ერთი მეხანძრეც!

– ექსტრემალური შემთხვევის გარდა, როგორც არ უნდა ვუწოდოთ, – „ცხოველს, მხეცს“ გასაუგებლყოფლად, სასიკვდილოდ კი არ ესვრიან, აძინებენ მას!

– ამაზე უნდა ვწეროთ ბატონო თამაზ და შევაჯანჯღაროთ, როგორც თქვენ ბრძანებთ, – „დოჟალაპია და არაოპერატიული ხელისუფლება!“

ვრცელ წერილს ვამზადებ, ქვეყნის ამ გასაჭირზე და გაბრძობით, პირველ რიგში თქვენ წავაკითხებთ!

დავით ძოგალაია P.S. გულმა ვერ მომიტინა და შარშანდელი სახანძრო შემთხვევების სტატისტიკა მოვიძიე ინტერნეტში.

გაოგნებული დაერჩი შედეგით: „2014 წელს საქართველოში ხანძრის შედეგად 68 ადამიანი დაიღუპა;

საქართველოში გასულ წელს 11040 რეგისტრირებული ხანძარი დაფიქსირდა, რაც 2015 ხანძრით მეტია 2013 წელთან შედარებით. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით ხანძრის შედეგად შარშან ქვეყანაში 68 ადამიანი დაიღუპა.

2013 წელს დაღუპულთა რიცხვი იყო – 48, ხოლო ტრაგედიული – 98.

2014 წელს ხანძრის შედეგად ტრაგედიული იყო 135 ადამიანი. განადგურდა 677 შენობა-ნაგებობა, ხოლო ხანძარს 82 მსხვილფეხა საქონელი ემსხვერპლა.“

იმავს წყაროზე დაყრდნობით, ისიც შეიტყვევ, რომ, წელს, საქმე „უკეთესად“ მიდის, – „ნ თვეში ხანძარს 38 ადამიანი შეეწირა“ და დიდი შანსი აქვს ქვეყნის კატასტროფებისა და სახანძრო სამსახურს, შარშანდელი შედეგი „გააუმჯობესოს“!

სიმწრის ხუმრობად ჩავთვალოთ ზემოთთქმული, მაგრამ, როგორც ვხედავთ მდგომარეობა მართლაც კატასტროფულია!

ბუნებრივია, ისმის კითხვა: – რატომ ხდება ასე?

სამწუხაროდ, დიდი ტვინის ჭყლეტა არ არის საჭირო სწორი პასუხის მისაღებად: – უმწიფრობის, უცილობის და ერთი ებრაული წყევლის, – „შენი არ იცოდე და სხვისი არ შეგესმინოს!“ – ქართველებზე ახდენის გამო ხდება ასე!

აქ გამთავრებ, ამ გულგასახეთქ, ქართულ გასაჭირზე საუბარს, როგორც ზემოთ ვახსენე, უფრო ვრცლად, უახლოეს ხანში მივუბრუნდები.

სამი სათრეველა ბაოდესებული კორიდა ვერ ივარგე როდესაც შინ, გაგისტუმრეს ოდესაში, – იმ ყირიმთან, ხარივით რომ ხენგშის, რადგან ფერთა ნაჯერიდან, შენ წითელი ნაჭერი ხარ, „ტორეადორ“ ამერიკის ხელში!

ნუ ბგაცდუნებ, ვიკლავრო!

„აუცილებლად უნდა დაიგემოსო მასშტაბური გამოსვლები.“ – ასეთი გახლდათ აზრი-უგუნური იმ უბედურების წინ, რომელიც საქართველოს 13 ივნისს დაატყდა თავზე გამოსვლების ამო სვლებით დაწრეტილო, მიკანაულო, ნუ ედები ღობე-ფორეს, კარებზე რომ გვიკაკუნო; მიტინგზე ვერ წავგიყოლებო, თუნდაც თავზე იკრა ურო; მორჩი, ნულა შეგვაღონე, ვერ გავაცდუნებ, ვიკლავრო!

კვალნი მაონარისა

როდესაც ვუმზერ, აწყვეტილმა პატარა ვერემ, ღორბორეულმა გადაასწრო ველურ პანტერებს, ტანში მცრის ცივად და შევეურებ ცთამბეჯენს შიშით: – ღმერთო, გვაშორე მიწისძვრათა ვაი და ვიში!

პოტიომკინის სოფლის გამო ვინ რად დაობლდა, ამის მიზეზზე ზედმეტია ახლა დაობა,

მაგრამ 13-ში რაც ვიწვინეთ საცოდაობად, განკითხვის ნიშნად შემორჩება ახალ თაობას,

როგორც ცოცხლად მკვდარ მონარის არარაობა!

ალექსანდრე შენბელია

დინაფილ ვორემ, მუჭოთ ორსანტი,


დინაფილ ვორემ, მუჭოთ ორსანტი, ჩქიმ მარგარიტა წანაფქ მიხირეს, ღურუშ შარა-კარს ქიმმოქოსანი, მუზმა შოშე დო მუზმა ხირხი რე.

არაბა აპიან ქეშიბეჭყლიდე, ჯვეში მერქეფი შურც დაფუნა, ჩქინი ოროფა თეთ ბეჭყლი-და, გეგმოიბუნე გურში ნაფულა.

ქირქეს მიაჯინ, ზულას გინორე, კირიბიშ ზისხირ გეწუმე დიხას, ირფელ ართიანც ქიმვოფითორი, მის გიჩქ, გოთანაქ ღურუ ქიმიდას.

სო მინჭუაფ ჩქიმი სქილედი, სო იჯანუანც შარა კვათილი, ეკონიას ქიმეკოსქილადექ, აბორჯებულ დო ღორაგავილი.

ბიორბი ხულორდავა 2014 წანა, 26. ფურთუთა



ტყეა შავნახა შვილებსა...



ქართველი პატრონის ეს მუდარა სიმღერადაც კი ვაქციეთ, მაგრამ არა და არ დაადგა საშველი ფულს დახარბებულ ადამიანებს, მისდგომიან და ხელერთპირად ახანაგებენ ჩვენს ისედაც დასიფთოვებულ და შავრების ტყავივით დაპატარავებულ ტყეს.

ქართული მიწა ეკუთვნის ქართველ ერს (მიწაში ტყვე იგულისხმება – რედაქცია), ხოლო ერი დღევანდელი თაობა როდიაო, მკაცრად გავაფრთხილა თავის ამასწინანდელ ინტერვიუში ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი – ქართული ტყეების უმოწყალოდ ჩეხვას ისეთი ტემპით აგრძელებს ქართველი კაცი, თითქოს მტრის მიწა-წყალს იყოს შესეული. თუმცა, ხის უთავბოლოდ მოჭრა არც მტრის ტერიტორიაზე შეიძლება, რადგან კლიმატს გეოგრაფიული საზღვრები არ გააჩნია, თითოეული მოჭრილი ხე კი უარყოფითად მოქმედებს ღამის მთელი მსოფლიოს ბუნების კლიმატურ ბალანსზე.

ყველაზე დიდი საშიშველება კი ის არის, რომ ხისმჭრელმა ბრაკონიერებმა ნაკრძალებსა და ადგილობრივ ტყეებშიც კი შეაღწიეს და ხეს არ ტოვებენ ხეხეულად მდგომელს. მაგალითად, ამას წინათ გავრცელდა კადრები, თუ როგორ მოჭრეს ვანდალებმა ხეები რაჭა-იმერეთის საზღვარზე მდებარე ნაქერალაზე, რომელიც ქართული ბუნების ერთ-ერთ საოცრებას წარმოადგენს. ადგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბრაკონიერები ალბათ ღამის საათებში ჭრიდნენ ტყეს და ამიტომაც ვერაფერს ვერაფერი გაიგო, ახლა კი მათი ვინაობის დადგენაზე ვეშუაობთ.

წმინდა წყლის სიცრუეა ეს განცხადება, რადგან ადგილობრივ სახელისუფლებო თუ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ვერაფერს გაბედავდა ნაჯახით ტყეში შესვლას – დღეს ეკოდანაშაულზე საკმაოდ მკაცრი სასჯელია დაწესებული. ჩვენ კი დაველოდებით აღნიშნული დამნაშავეების განთავსებას, მაგრამ უკვირებს გვეპარება სამართალდამცავთა წარმატებაში, რადგან, როგორც იცით, ძალი ძალის ტყავს არ დახვეს, მით უმეტეს, თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ტყის მკველს ან სამართალდამცავებს ბრაკონიერებისაგან ქრთამის სახით საკმაოდ დიდი თანხა აქვს აღებული.

ვერა და ვერ შეიგნეს სიხარბით დაბრმავებულმა ამ არაკაცებმა, რომ ფერდობზე ხის მოჭრა ასუსტებს ნიადაგის მდგრადობას და იწვევს მეწყერებს, რომლის შედეგაც რამდენიმე დღის წინ ვიწვინეთ მდინარე ვერეს ხეობაში – დაიდუპანენ ადამიანები, უბინაოდ დარჩა ხალხი, განადგურდა ზოოპარკი, დაიხოცნენ მსოფლიო ფაუნის უნიკალური წარმომადგენლები...

მაინც და მაინც ბრაკონიერებს უნდა დაეღუპათ (დემეტოა ყველა დაიფაროს მსგავსი უბედურებისაგან) ოჯახის წევრი, ალენილი ნაჯახი რომ გააგდონ ხელიდან?

ტყე ხომ გეოგრაფიული ლანდშაფტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, იმ ხეების, ბუჩქებისა და ბალახების, აგრეთვე ცხოველებისა და მიკროორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც თავიანთი განვითარების პროცესში ურთიერთდაკავშირებულნი არიან ბიოლოგიურად და ახდენენ ზეგავლენას როგორც ერთმანეთზე, ასევე გარემოზეც, ე.ი. ჩვენზე.

იმდენი ეპითეტი ალბათ უღამაზეს ბანოვანს არ მოეძებნება, რამდენსაც მოახროვნე ადამიანები ტყეს უძღვნიან ხოლმე. შევეშვათ ვაჟა-ფშაველას, მიხეილ

ჯავახიშვილს, გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას, ნიკო კეცხოველს, ბუნების მოტრფიალე სხვა შემოქმედებს და თუნდაც მშრალი ციფრებით მოსაუბრე ქართულ ენციკლოპედიაში ჩავიხედოთ.

“ტყე დედამიწის ეკოლოგიურ სისტემათა მთლიანი კომპლექსისთვის გლობალური და სასიცოცხლო ფაქტორია. იგი ცოცხალი ნივთიერების ერთ-ერთი პლანეტური აკუმულატორია, რომელიც აკავებს ბიოსფეროში მთელ რიგ ქიმიურ ელემენტებს და წყალს, აქტიურად ურთიერთქმედებს ტროპოსფეროსთან და განსაზღვრავს ჟანგბადისა და ნახშირბადის ბალანსის დონეს.

ბიოსფეროში ჟანგბადის 60%-ზე მეტს გამოყოფს ხმელეთის მცენარეულობა და მისი მთავარი კომპონენტი — ტყე. 1 ჰექტარი შერეული ტყე წელიწადში ატმოსფეროდან შთანთქავს 13-17 ტ. ნახშირორჟანგს და 10-15 ტ. ჟანგბადს გამოყოფს. ტყე ჩვენი პლანეტის ყველაზე უფრო პროდუქტიული ფორმაციაა და ბიოლოგიური წებურუნის ყველაზე მაღალი ინტენსივობით ხასიათდება. ტყეში დაგროვილი ბიომასა მნიშვნელოვნად აღემატება ბალახეულ და სხვა მცენარეულ თანასაზოგადოებათა ბიომასას. 1 ჰა ტყის ფიტომასის წლიური ნამატი საშუალოდ 10—30 ტ შეადგენს, ბალახოვანი მცენარეულობისა — 9 ტ, ტუნდრის მცენარეებისა — 2 ტ.

ტყე გავრცელებულია ყველა კონტინენტზე (გარდა ანტარქტიდისა) და ხმელეთის 30% უკავია. დედამიწის ტყით დაფარული ფართობი 3,779 მლნ. ჰექტარს შეადგენს. წარსულში დედამიწაზე ტყეები გავრცელებული იყო უფრო დიდ ფართობზე, რომელთა ნაწილი შემდგომში სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა, სწრაფად მზარდმა ქალაქებმა და სამრეწველო კომპლექსებმა დაიკავე. დედამიწის თანამედროვე ტყის საფარი მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანის ჩარევამ. მაგალითად, ცენტრალურ ევროპაში წიფლნარის ადგილზე ხელეწიურად გაშენდა ნაძენარი. ტაიგაში პირწმინდა ჭრის შედეგად საგრძობლად გაიზარდა არყნარისა და ვერხვნარის ფართობები. საქართველოში არარაციონალური ექსპლუატაციის შედეგად მაღალპროდუქტიული მუხნარის მნიშვნელოვანი ფართობები შეიცვალა დაბალი წარმადობის ამონაყარი მუხნარითა და ჯავრცხილნარით.

ტყე მრავალრიცხოვანი რესურსის (მერქანი, ქერქი, ტოტები, ფოთოლი, ნაყოფი, თესლი, სოკო და სხვა) უმდიდრესი წყაროა. მან ფართო გამოყენება პოვა მერქნის დამზადების, გადამამუშავების, ქიმიურის, კვების, ფარმაცევტულ, საფეიქრო მრეწველობისა და მეურნეობის სხვა დარგებში. ტყე ერთ-ერთი ბუნებრივი ბიოლოგიური რესურსია, რომელსაც ახასიათებს ადღვინის უნარი. იგი ასრულებს პლანეტურ ბიოქიმიურ ფუნქციას, მონაწილეობს მრავალფეროვანი ლანდშაფტის შექმნაში, აქვს ძალზე დიდი წყალშემნახავი, ნიადაგდაცვითი, კლიმატმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური მნიშვნელობა. ამიტომ ტყის დაცვასა და მის რაციონალურად გამოყენებას უდიდესი სახალხო-სამეურნეო და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს...”

იქნებ ამან მაინც დაგაფიქროთ ის ვანდალები, ალენილი ნაჯახს რომ ვერ შეღვევიხართ ვერასგზით და საკუთარ მომავალს რომ ჟანგბადს უკეტავთ?!

არა და, რა ჯიშის ხეებს არ წააწყდებოდა კაცი საქართველოში, ვიდრე თქვენ ბირდაბირ ხერხსა და ნაჯახს ალესავდით.

დაბლობ ჭაობიან ადგილებში ჯერ კიდევ გვხვდება თქვენს მსახვრად ხელს გადარჩენილი მურყნარი, სადაც შერეულია ხვალს, ოფი, ტირიფები, ლაფანი, ზოგან იმერული მუხა და რცხილა. შემადღებული ადგილები და მთისწინები დაფარულია კოლხური ტიპის ტყეებით. მათ ძირითადად ქმნის რცხილა, პარტვისისა და იმერული მუხები, ოფანი, ძელქვა, წიფელი. ქვეყნში ხარობს წყავი, შქერი, თავისარა, მოცვი და სხვა, უხვადაა ხვიარა მცენარეები: ეკალიძი, კოლხური სურო, კრიკინა, ვახი, ღვედეკვი და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოში მშრალი რაიონების დაბლობებსა და მთისწინა კალთებზე (შირაქი, ელდარი, მცხეთის მთა-დამბები და სხვა), ზღვის დონიდან 400-დან 600 მ-მდე, გავრცელებულია არიდული ანუ ნათელი ტყეები, რომლებშიც ჭარბობს კევის ხე, ღვიები, ზოგან აკაკი, ბერყენა, ქართული ნეკერჩხალი, ბუჩქებიანა – თრიმლი, თუთუბო, ბროწეული, ძეძვი და სხვა. მთის ქვედა სარტყელში (500-იდან – 900-1000 მ-მდე) წაბლისა და მუხის ტყეებია. წაბლნარი გვხვდება როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთ საქართველოს ტენიან რაიონებში (კახეთი). დასავლეთ საქართველოს კირიან ნიადაგებზე და აღმოსავლეთ საქართველოს მშრალ რაიონებში (ქართლი, გარეკახეთი) წაბლნარის ნაცვლად მუხნარი, მუხნარ-რცხილნარი და რცხილნარია გავრცელებული. ქვეტყეში იზრდება ზღმარტი, კუნელი, თხილი, შინდი, თრიმლი და სხვა. მთის შუა სარტყელში (900-1000-იდან 1500-1600 მ-მდე) ნაირხნოვანი, მაღალი წარმადობის წიფლნარია, როგორც წმინდა, ისე შერეული რცხილასთან, მინდურის ნეკერჩხალთან, ბოცთან, ცაცხვთან, ნაძვთან და სხვა. საქართველოში წიფლის ტყის სარტყელი არ არის მხოლოდ მესხეთ-ჯავახეთში. მის ადგილს აქ იკავენ სოჭთან შერეული ნაძენარი, ნაძენარ-ფიჭვნარი და წმინდა ფიჭვნარი. მთის ზედა სარტყელი წარმოდგენილია მუქიწიფოვანი ტყეებით. დასავლეთ საქართველოში იგი იწყება 1400 მ-იდან და ზშირად აღწევს ტყის გავრცელების ზედა საზღვარს. აღმოსავლეთ საქართველოში კი 1500-დან 2100 მ-მდე ვრცელდება. ამ ტყეების შემქმნელი მცენარეებია აღმოსავლური ნაძვი და კაკასიური სოჭი, რომლებიც ნაირხნოვან, მაღალპროდუქტიულ, წმინდა, უფრო ზშირად კი შერეულ კორომებს ქმნიან. მათ ზშირად ერევა წიფელი, თელა, ცაცხვი და სხვა. ამ სარტყელში გავრცელებულია აგრეთვე ფიჭვი (სამხრეთი ექსპოზიციის, დიდი დაქანების ფერდობებზე). ფიჭვნარის დიდი მასივები განლაგებულია მთათუშეთში, აგრეთვე მესხეთში და თრიალეთის ქედზე. იმ რაიონებში, სადაც ნაძენარ-სოჭნარი არ არის (გარე და შიგნითა კახეთი), მის მაგივრად დაბალი წარმადობის წიფლნარია გავრცელებული. მთის ზედა ზოლი (ზღვის დონე 1900-2100-დან 2400 მეტრამდე) უკავია სუბალპურ ტყეებს — სუბალპური ტანბრციელებსა და სუბალპურ მერყნებს. ტანბრციელები, რომლებიც ყველა რაიონშია გავრცელებული, უმთავრესად წარმოდგენილია არყნარით და წიფლნარით. სუბალპური მერყერი უფრო დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსთვის და შექმნილია მაღალმთის ნეკერჩხლით, მაღალმთის მუხით, ჭნავით. მას პარკულ ტყეებსაც უწოდებენ.

ამას რომ ანადგურებ, შე დედააფთქებული, ეკობრაკონიერებაში აღებული ფულით ისეთი რა უნდა შესძინო შენს ოჯახსა და მომავალ თაობებს, რომ სუფთა პაერზე მეტად სანუკარი იყოს? ამას ცოდნის გარდა მოქალაქეობრივი შეგნება სჭირდება და ვიდრე ამ შეგნების დეფიციტი ექნება ქართველ კაცს, საქართველოს სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

რომ წიოკობ, ვიდაც უისტორიო ერები საქართველოს სახელმწიფოდ არ თვლიანო, მიხევი საკუთარ თავში უნდა ეძებო, და არა სხვის შემდამი დამოკიდებულებაში. თუმცა, ამასაც ის მოქალაქეობრივი შეგნება სჭირდება, რომელიც შენ არ გააჩნია. შეგნება კი სახადი არ არის, რომ უცებ დაგეტაკოს!

არა და, თქვენს გადამიძვლებს საქართველოში მალე მხოლოდ ჭალებში დაგვრჩება მურყნის მომცრო ხეები, იმერეთში როხმელას რომ ეძახიან.

მერე რითი ისუნტქებთ, ამაზე თუ დაფიქრებულხართ ოდესმე?

თუგზაობა და ნადირობა კი ალბათ მალე საერთოდ აიკრძალება საქართველოში, რადგან აშკარაა, რომ ტყეში ან მდინარეში შესულ ქართველ

კაცს ზომიერების გრძობა დალატობს.

ტყის თაობაზე არსებულ ცნობებს რომ ზედაპირულად რომ გადაავლოთ თვალი, იქნებ მაშინ მაინც გაგინვლდეთ ხის მოჭრის მანიაკალური სურვილი. მაგალითად ის, რომ ტყე თავისი შემადგენლობით, ადგილსაარსებო პირობებით, განახლების პროცესით, წარმოდგენით და განვითარებით სხვადასხვაგვარია, რაც საფუძვლად უდევს ტყის ტიპებად დაყოფას. ტყის ტიპებს გამოყოფენ ტყის შემქმნელი მთავარი სახეობისა და ადგილსაარსებო პირობების ამსახველი ინდიკატორის (გაბატონებული ბალახის ან ქვეტყის ბუჩქის) მიხედვით, მაგ. ჩითისთვალისა წიფლნარი, წყავის ქვეტყიანი ნაძენარი და სხვა. განახლებებენ ძირეულს და წარმოებულ ტყის ტიპებს. უკანასკნელი წარმოიქმნება ადამიანისა და სხვა ფაქტორების (ტყის მენეჯმენტი, ხანძარი, ქარქვევა და სხვა) ზემოქმედების შედეგად. მთის ტყეებში ტყის ტიპების გამოყოფას ხშირად აძნელებს რელიეფის სირთულე, რაც იწვევს ადგილსაარსებო პირობების მოკლე მანძილზე ცვლას და ამის შედეგად ტყის ტიპის ხშირ მონაცვლეობას.

საქართველო მთავორიანი ქვეყანაა, ამიტომ აქ ტყეები თითქმის მთლიანად (97,7%) მთის ფერდობებზეა განთავსებული და სწორედ ამ მასივების გამენხერება იწვევს მასიურ მეწყერებს, რაც უარეს შემთხვევაში მსხვერპლთა რიცხვს ზრდის, უკეთეს შემთხვევაში კი – ეკომიგრანტების.

დასავლეთ საქართველოში ტყეები იწყება ზღვის დონიდანვე და ფარავს დაბლობებსა და მთისწინა კალთებს ზღვის დონიდან 500 მ სიმაღლემდე.

საქართველოში ტყით დაფარული ფართობი 2,69 მილიონ ჰექტარს აღწევს, რაც მთელი ტერიტორიის 38,5% შეადგენს. მერქნის საერთო მარაგია 397,4 მილიონი კუბური მეტრი. საქართველოს ტყეები 300-ზე მეტი მერქნიანი სახეობისაგან შედგება. სახეობრივი შემადგენლობის მიხედვით საქართველოს ტყეები შემდგენილია ნაწილობრივ: წიფოვან ტყეებს უკავია 0,41 მილიონი ჰექტარი (202%), მათ შორის სოჭნარს — 190,7 ათასი ჰა, ნაძენარს — 128,6 ათ-ჰა, ფიჭვნარს — 91,6 ათ. ჰა. ფოთლოვან ტყეებს უკავია 1,57 მლნ. ჰა (79,8%). მათ შორის მაგარმერქნიანებიდან წიფლნარს — 1,03 მილიონი ჰექტარი, მუხნარს — 214,7 ათასი ჰა, რცხილნარს — 149,2 ათასი ჰა. დანარჩენი 155,9 ათასი ჰა ფართობი რბილმერქნიანი ჯიშის ტყეებზე (მურყნარი, არყნარი, ვერხვნარი და სხვა) მოდის. როგორც ხედავთ, არც იმდენად დიდი ბუნებრივი რესურსების პატრონი ვყოფილვართ და ამიტომაც თვალისწინებით უნდა ვურთხილდებოდეთ თითოეულ ხეს.

თქვენგან არაერთგზის შერისხულმა და თქვენი უმადურობით საფლავში ამოტრიალებულმა ლავრენტი ბერიამ ერთხელ უკვე გადაგარჩინათ სიცოცხესაგან სიკვდილს, როცა მოცეც საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების უგაზობისა და უშუქობის მიმე პერიოდში მის მიერ რუღუნებით გაშენებული ქარსაფარის ზოლის განადგურებით ითობოდით გათოშილს ხეულსა და სულს. სწორედ ამის მიმე შედეგებს ვიმკით ახლა...

რამდენჯერ უნდა გადაგარჩინოთ იგივე ბერიამ?

თქვენნარი მოსტომაქე და მუცელს გადაყოლილი ხალხის რჩენა მიცვალებულს კი არა, ცოცხალ ადამიანს ამოუვა ყელში! ამიტომ, თუ ასეთი ტემპით გააგრძელებთ ხე-ტყის განადგურებას, თქვენც და ჩვენც, ყველანი, განადგურების რეალური შესაძლებლობის წინაშე აღმოვჩნდებით!

ბუნების ბალანსი რომ შეინარჩუნო, ერთი მოჭრილი ხის მაგიერ ხუთი უნდა დარგო. ელემენტარული არითმეტიკაა, მაგრამ იმ ადამიანებისათვის ვისაც ტვინში ერთი ხვეული მაინც გააჩნია და მხოლოდ სტომაქით არ ახროვნებს!

იქნებ ეს მაინც დაიხსოვოთ?

როლანდ ჯალალანი,
“აიპა“-ს და “ზაზისი“-ს აკადემიების წევრი



ილიას სიტყვები, რომელიც, ყველაზე უნდა იცოდეს და დაუფიქრდეს!



ჩვენს გაზეთში ზედიზედ მოწერილი ამბავია დაბეჭდილი: ერთი სოფელ კვათანიდამ და მეორე ლანჩხუთიდან, ორივე ეს სხვადასხვა ადგილიდან მოწერილი ამბავი ერთსა და იმავე მიზეზს იძლევა, კაცი დაუკვირდეს ერთგვარს მოვლენას, რომელიც, ჩვენში რომ ვსთქვათ, "არ ახალია, ძველია" და მით, რასაკვირველია, არანაკლებ საყურადღებოა და ათასჯერ სათქმელი და სამოდერნული. ამ წერილების დამწერნი გულმართლად მოგვითხრობენ თუ რა, ზემოქმედება იქონია სოფლებზე ღვთის ივლისის მიწისძვრამა. რა თქმა უნდა, რომე ეს ბუნებური მოვლენა, არაერთხელ ყოფილა ჩვენში თუ სხვაგან, ხალხმა ჯერ ყველაზე უწინარეს ღვთის წყრომას მიაწერა, ცოდვითა გახშირების გამო მოვლინებულსა და ყველაზე უწინარეს იგი ღონე იღონა, რომ წყრომა ღვთის წყალობად გარდითქვის და ღმერთი მოწყალების თვალთ გადასახედოს. ამისათვის აიღეს და სოფლის განაწინით დაადგინეს, რომ კვირაში ერთი დღე პარასკევი შესწირონ ღმერთსა და სამუდამოდ იგი დღე იუქონ. ცხენი როცა

დაფრთხება ხოლმე, მიზეზი ის არის, რომ ნათლად ვერ არჩევს საგანსა. ამისი წამალი მარტო ის არის, რომ ცხენს ძალად მიყვანენ ხოლმე საფრთხობელ საგანთან, თვალთ დაანახებენ და ერთხელ და ორჯერ ამნაირად ნაწურთინ ცხენი თუ ფრთხობლას ერთობ არ დაიშლის, იმ ნაწვევებ საგანზედ მაინც აღარ დაფრთხება ხოლმე. ადამიანი, რასაკვირველია, ცხენი არ არის. არც მიწისძვრის იმისთანა საგანი, რომ კაცმა ან ხელი შეახოს, ან თვალი მოჰკიდოს. მიწისძვრის მომავლინებულნი ძალიან ადამიანის თვალთაგან მიუწვდომელ სფეროში მოქმედებენ და რადგანაც ამის გამო მიზეზი ნათლად და თვალსაჩინოდ გამოურკვეველია, უცოდინარი ხალხი უფრთხის და კშიშობს. ეს ამბავი განა მარტო ჩვენშია: ყველგან არის და ყველგან ასევე კშიშობენ და ფრთხიან ამგვარ ხორცის თვალთაგან მიფარებულ ამბავზედ. მაგრამ კაცთა საბედნიეროდ, ღმერთს ადამიანისათვის ხორცის თვალთა გარდა მიუნიჭების გონების თვალთა და თუ ეს თვალი კაცს კარგად უჭრის, ქვეყანაზედ არა დაემალება რა და ყველა მოვლენას ასეთს თუ ისეთს მიზეზს მოუპოვებს. თუ ეს მიზეზი ყოველთვის მართალი და უტყუარი არ არის, იმოდენად მაინც სალი და ჭკუას ახლოა ხოლმე, რომ კაცი ტყუილურად აღარ გადაეგება, არც იხარჯება, არ იბნევა და არა ბრკოლდება თავის ყოველდღიური ცხოვრების მსვლელობაში და არ ეძლევა ტყუილს სასოწარკვეთილებას, რომელიც ყველაზე მაგნეზე მაგნეა, რადგანაც ადამიანს გულზედ ხელებს აკრეფინებს და მცონარედ ჰხდის. სწორედ ამ დღეში ჩაცვივრულან და კვათანიდნი და ლანჩხუთელნი და ამ დღეშივე ცვივიან ბევრგან სხვაგანაც იმისთანა ბუნებურ მოვლენის გამო, რომელსაც აუხილველი თვალი გონებისა

ვერა სწვდება დასახსავად. რამ უნდა აუხილოს ეს გონების თვალი? მარტო სწავლა-განათლებამ და სხვა არაფერმა. აი, ძველის-ძველი სახსარი, რომელიც ყოველთვის ახლად სამოდერნულია ამ ურჩის და ბნელში მთარულ წუთი-სოფლისათვის. ხორცის თვალს ბევრი არა შეუძლიან რა ქვეყნის საბედნიეროდ, თუ ტანს არ შესწევს ყოველად შემძებელი გონების თვალი, რომელსაც ცაში ვარსკვლავი არ გამოეპარება და ზღვის ძირში ქვიშა, რომლისათვისაც არც იმოდენა მანძილია ქვეყნიერობაზედ, რომ არ მისწვდეს და არც სიდრმა, რომ არა ჩახივდეს, არც იმისთანა საიდუმლოა, რომ ჭკვისაგან შესაწინარებელი მიზეზი მაინც არ მოუპოვოს ასე თუ ისე. მართალია, მიწისძვრას დიდი უბედურება მოსდევს ხოლმე. ჩვენი აწ წარმავალი საუკუნე, როგორც წინა საუკუნეც, არაერთხელ ყოფილა მოწმად, რომ ძვრას მიწა გაურღვევია და თან ჩაუტანია ქლაქები და სოფლები, მაგრამ აქ ღვთის წყრომა არაფერს შუაშია. ყოველად მოწყალე ღმერთი თვის დანაბადს ქვეყანას თვითვე არ დააქცევს. ღმერთი ქრისტიანობისა შურისმაძიებელი ღმერთი არ არის; იგი კაცთმოყვარეა და ამის დასამტკიცებლად ძე თვისაგან განტეხა ხორცი თვისი და დაანთხია სისხლი თავისი მისატყვევლად ცოდვითა. თუნდ რომ მიწისძვრა ღვთის წყრომად ვიგულისხმით და არა ბუნებურ მოვლენად, როგორც ნიაღვარის მოვარდნა, სეტყვა, მეხი და სხვა ამისთანა, მაინც რა წამალია უქმობა, რომელიც ზემოხსენებულ სოფლებს სასოფლო განაწინით დაუდგენიათ? უქმობაა დედა ყოველის ბოროტისაო, განა იმავე ღმერთმა არ ბრძანა? მაშ ღვთის წყალობის მოსაპოვებლად რა სახსარია იგი ღონე, რომელიც ყოველის ბოროტს დედად აგრე სამართლიანად წოდებულია?

ღმერთს მშრომელი, გამრჯელი კაცი უყვარს, იმიტომ, რომ მისგანვე არის ნაბრძანები: "ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური თქვენიო". მცონარეობა, უქმად ყოფნა სძულს ღმერთსა, იმიტომ, რომ ბოროტისა და ცოდვისათვის ხელგამომავალი და მოცლილი მარტო მცონარე და უქმი კაცია. იესო ქრისტემ თვისი იგავით მცონარეობას ანდერძი აუგო და თავისი სამართლიანი მსჯავრი დასდო. ვის არ ახსოვს იგი იგავი, რომელიც მოგვითხრობს, რომ ბატონმა მონას ტალანტი მისცა სასარგებლოდ და იმის მაგიერ რომ ასარგებლოს, მონამ აიღო და მიწაში ჩაჰფლა, არ დაემკარგოსო. ვის არ ახსოვს როგორ განჰკითხა იესო ქრისტემ ამისთანა მცონარე? ამიტომაც მეტისმეტ შეცდომად მიგვანჩნია კვათანიდებისა და ლანჩხუთელებისაგან კვირაში ერთი დღის უქმად დაღება. ეგ უმიზეზო უქმობა რისხვას და არა მოწყალებას მოიპოვებს იმისაგან, ვინც შრომა და გარჯა პატივსადებ მოქმედებად გვიანდერძა. ღმერთს უქმობით ვერავინ აამებს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ კეთილი საქმე, რომელიც წარმოსდგება ხოლმე პატივსენისა, ნამუსისა, გულმართლად ცხოვრებისა და კაცთმოყვარეობისაგან. ყველა ეს მაცხოვარნი გრძობანი შეიღნი არიან მარტო ჭეშმარიტის სწავლა-განათლებისა. ამიტომაც უფრო მართლად გამოსადეგი იქნებოდა, უფრო საამური ღვთისა და კაცისათვის, რომ კვათანიდებმა და ლანჩხუთელებმა ის ერთი დღე კვირაში უქმად არ ატარონ, არამედ ისაქმონ და იმ ერთის დღის ნამოქმედარი ჭირნახული შესწირონ თავისი შვილების სწავლა-განათლების საქმეს და ამ შესწირავით საკუთარი სკოლა გამართონ, როცა ამისათვის საჭირო ფული მოუგროვებდნენ.

“რა ენა წახდეს ერი დაეცეს“



ქართული ენისადმი უდიერმა დამოკიდებულებამ ეს სიტყვები ათქმევინა გამონუნნილ ქართველ პოეტს გრიგოლ ორბელიანს მე-19 საუკუნეში. მძიმე განსაცდელშია ჩვენი მშობლიური ენა 21-ე საუკუნეშიც, რომელსაც არც სააკაშვილის ხელისუფლება სწყალობდა და არც ამჟამინდელი ხელისუფლება სწყალობს. სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების, სახელმწიფო ენის ხელშეწყობის, ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და ენის ნორმათა დამკვიდრების მიზნით 1997 წელს

საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ამ საქმის გამოცდილი სპეციალისტი ბატონი **ლევან ზვიგაძე**. პრეზიდენტს დაქვემდებარებულმა ამ სტრუქტურამ, რომელიც მართლაც ქმედით უნარიანი იყო, მხოლოდ შვიდი წელი იარსება. **„გარდების რეგულაციის“** შემდეგ ენის პალატა ჯერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარეს, ხოლო მოგვიანებით კი საერთოდ გააუქმეს. ათ წელზე მეტია დღის წესრიგში აქტუალურად დგას ენის პალატის აღდგენის საკითხი, მაგრამ ეს პრობლემა სამწუხაროდ დღემდე მოუგვარებელია. საქართველოში ეროვნული, სახელმწიფო ენა სრულიად დაუცველია. ქართულ ენასთან ერთად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენაა აფხაზურიც, ამიტომაც აფხაზებთან დაახლოებისათვის, მათი ჩვენკენ შემობრუნებისათვის აუცილებელია ქართული და აფხაზური ენების რაიმე სტრუქტურის შექმნა. მისაღება კანონი სახელმწიფო ენის შესახებ, ხელისუფლება კი რატომღაც აფერხებს ასეთი სტრუქტურის შექმნას და არ იღებს კანონს სახელმწიფო ენის შესახებ. იმედია ასეთი დაჯავლება მათ ამერიკიდან

არ მიუღიათ, არადა მიხერული თანხის გამოყოფაა საჭირო ბიუჯეტიდან, მაშინ როდესაც მილიონობით ლარი იხარჯება სხვადასხვა უახრობაში. ქართული ენის გასაცოდავებულ მდგომარეობას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდებით კოლხეთის ძირ-ძველ მიწაზე - ზუგდიდში. განსაკუთრებით თვალში საცემია შენობა-ნაგებობების, დაწესებულებების ფასადებზე გაკრული აბრები, ფირნიშები, ბანერები, რეკლამები და ა.შ. სადაც აშკარა უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ენას, უფრო მეტიც ქართული წარწერები ბევრგან საერთოდ არ გვხვდება. ყოველივე ამის თაობაზე განვეცხადე ზუგდიდის ქალაქის საკრებულოს, მერიის მაღალჩინოსნებს: სანამ ქართული ენის რაიმე დამცავი მექანიზმი შეიქმნება საქართველოში, მანამდე საკუთარი ძალებით (დროებითი კომისიის შექმნა) ეზრუნათ ქართული ენის სიწმინდისა და დაცვისათვის. იდეა კი მოეწონათ იყო შეპირებაც, მაგრამ შეპირებას შესრულება არ მოჰყოლია, არადა ამის შესაძლებლობა და სახსრები მათ გააჩნიათ. **ლადო ძირია, ზუგდიდი**

ჩემი უფროსი მემობარი - დიდებული პიროვნება რევაზ ჩხეიძის გახსენება



დიდი ხელვანი რევაზ ჩხეიძე გასული საუკუნის მეორე ნახევრის ერთ-ერთი თვალსაჩინო კინორეჟისორი გახლდათ. მის მიერ გადაღებულმა ფილმებმა „მაგდანას ლურჯამ“ და „ჯარისკაცის მამამ“ მსოფლიო აღიარება მოიპოვა. იგი არამარტო დიდი კინორეჟისორი, ასევე კარგი ორგანიზატორიც იყო, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმატებები მის სახელთან არის დაკავშირებული. ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ახალგაზრდების აღზრდაში, რისთვისაც შექმნა მსახიობთა სტუდია. ბედნიერად ვთვლით თავს, რომ ეს სტუდია დავამთავრე, რასაც ბატონ რევაზს დიდ დამსახურებად ვთვლი. კინემატოგრაფიაში ჩემი მიღწევებიც მისი დამსახურებაა. იგი ყოველთვის გვერდით მედგა, სწორედ მან მაზიარა ქართული კინოხელოვნების სიბრძნეს. უკანასკნელი მოპიკანი, იგივე ჩემი „კუმირი“, ჩემი უფროსი ძმა და მეგობარი გავაცილე მარადიულ სასუფეველში, იქ, ზეციურ წმიდა სამყაროში სამოთხის ნათებულთან და მანათობელ არსებასთან, რომელთაც ანგელოზები ეხვევიან და ღირსეულთ სამოთხის მზის ბილიკისკენ გაღობით მიაცილებენ. უკანასკნელ მოპიკანს იმიტომ ვამბობ, რომ არ შემიძლია ბატონ რევაზს გვერდით არ მოვიხსენიო, ასევე ჩემი აღმზრდელი: რასულ გამზათოვი, ირაკლი აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, ხუტა ბერულავა, ჯანო ბაგრატიონი, გიგა ლორთქიფანიძე და სხვები... ჩემი მეუღლე, ცნობილი მუსიკათმცოდნე მზია იაშვილი. ბატონ რევაზ, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც შენ სიკეთე გააკეთე ღირსეული პიროვნება იყავი და ღირსეულად დაადექი სამოთხის წმიდა გზას. **ალი აზარსკი, საქართველოს დამსახურებული მსახიობი, თბილისის საპატიო მოქალაქე**



არ გაითიარღება ყოჩანი...

რაც დრო გადის, ქართველთა ოცნებას „ქართული ოცნების“ გახსენებაზე სინანულით შენელებული მწარე გულითაა აღსავსე. რას დაემსგავსა „ქართული ოცნება“? ალბათ, ამგვარი უსახური არსება მრავალჭირნახულ წარსულშიც ძველად მოიძებნება. რაღა მაინც „ქართული ოცნება“ შეარქვეს? განა ქართველთა ოცნება ელგებეტე კანონების შემოღება, პედერასტების, სქესობრივად გარყვნილ, უხეივ გადაგვარებულთა აგულაგება, ამერიკელთა დაცემისთვის მოლოდინით გათანჯულეობა ზღვარგადაცილებული ლიქნით ღვთისწყალობა რომ არ მიაძახონ?

დღევანდელი ჩვენი სავალალო ყოფა იმ დიდი იმედების მსხვრევაა, ნაციონალთა ხელისუფლებიდან გადაცურებას რომ ახლდა.

“დაუსჯელობა დანაშაულის უდიდესი წახალისებაა”. ციციერონს ამ საკითხში ვერაფრით შეედავები. გვეგონა, მოვიდა ძალა, რომელიც შეუპოვრად, ქართული გენის შემართებით შეუტევდა ყველა ავსა და ბორცს; დაუსჯელობა არ დასტოვებდა იმ პარაზიტს, რომელმაც ესოდენი ზიანი, დაკნინება და ტკივილები მიაყენა ერთიან ქართულ ორგანიზმს. ზემოქმედ საზარელი უსამართლობის მსხვერპლი ხალხი; თითქოს შევებით ამოსუნთქვას აპირებდა მრავალი უბედურების ძაძვით შემოსილი ერი. იყო დრო ავის და ბოროტისათვის სათანადო პასუხის მიგებას. იდგა ბიძინა ტრიბუნაზე და გვერდით ედგნენ გათურებულ შავი ყვავებივითი მისი ნდობით შემოსილი, ხალხში ნდობადაკარგული პარტიათა თავკაცები, ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს მაშველი რგოლივით რომ ჩახტვილებოდნენ და პირმოთენე ღიმილით ერთგულებას შპქრად დნებოდნენ.

– საქართველოს გაუმარჯოს! – იძახოდა ბიძინა, ღრიალით ასდევდა პირმოთენეთა ანგარებიანი ერთგულება და გუგუნებდა გულუბრყვილო იმედით შემოსილი ხალხი; შეწყურებდა ბიძინას ამაღლი შვედროვილ გათურებულად მოღანდებულ ყვავებს და ავიწყდებოდა მამაპაპური სიბრძნე: **“არ გათიარღება ყოჩანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა”.** ცეცხლს აფრქვევდა ნაწამებ, თამბაქუდს და დამკრებულთა იმედად თამბაქოს მახვილი, დამფრთხალი ნაციონთა ხროვა ვირთხის საბრძანებელში შესაძრომად ბარგს კრავდა, უამრავი ბრალდება მუშტად იკვრებოდა; ბიძინას გამარჯვებულ კოალიცია ხალხის მებრძოლ თავდადებულთა ავანგარდს დაიხარებოდა.

სამართლიანობის ზემოთ იმედად გამოჩნდა პროკურორი კბილაშვილი. ადამიანს ერთხელ ეძლევა შესაძლებლობა ხალხისათვის თავდადებულ მამულიშვილად აღიარების, ან... მას შეეძლოს ამ მოკლე წუთისოფელში ერისკაცობას ზიარებოდა, მაგრამ, იწვალა, ივავალა, ბევრის მოლოდინი გაახუნა, თემიდას მახვილსაც დაუბლაგვა ფხა და ლოკოკინას კვალის დატოვებით იმ ნაჭუჭში შექერა, სადაც კუჭის დემონია მბრძანებელი.

ხალხი ნაციონალთა ანტიეროვნული, მოღალატეობრივი, ქვეყნის დამაქცევარი მოქმედებისათვის პაუხისგებად ელოდებოდა ამ ბანდის გასამართლებას. ახლა გაირკვა, რომ ყოჩანი არ გათიარებულა და ამოიღეს კიდევ ხმა, ნაციონალები უნდა შევინარჩუნოთ და მოგონილი კოპაბიტაციით კიდევ ჩახუტნენ მათ. გაწბილებულ ხალხს კი უკვე მერამდენედ შემოაბნელდა სამართლიანობის აღდგენის ნათელი იმედი.

რა ძალა ჰქონია კოპაბიტაციას, რომ **“ქართული ოცნება”** სარეველამორეულ ნაკვეთში დაკნინებულ კულტურულ მკენარესავით ვეღარ ვერპოვია. რადგან ასე თავდავიწყებით ერთკავთ ევროატლანტიკური დულეკის ანტიეროვნულ ჰევიტინზე და ერთსქესიანთა ქორწინების აღვირახსნილობა კარზე გვიკაკუნებს, სახეზე გვაქვს **“რესპუბლიკელთა”** და **“ოცნების”** ერთსქესიანთა კავშირი.

არსებობს სხვა მწერებით მკვებავი კალია. სქესობრივი კავშირის დროს დედალი მამალს პროცესის დამთავრებამდე სჭამს. ასე, ნელ-ნელა, **“რესპუბლიკელთა”** აფეთქებული უძლებობა მიერთმებს **“ქართული ოცნების”** არსებობას. ალბათ, შორს აღარ არის ის დრო, კოპაბიტაციის ნაჭუჭიდან მეოცნებენი **“რესპუბლიკურად”** რომ შემოგვიძახებენ: არამართი საქართველომ გაერთიანება, გაუმარჯოს დაკნინება-გადაგვარებას-გარყვნილებას!

თავაწვევტილ ევროატლანტიკურ მისწრაფებას კი უხეივობის დამამცირებელი

შემოთავაზება და მისი აბების ძალით გადაყლაპვის მცდელობა ახლავს. ევროპის სასამართლო საქართველო 30.000 ევროთი დაჯარიმა პედერასტების სასარგებლოდ, როგორ გაბედეთ ამ გარყვნილთა აღლუმის გაპროტესტება. ჯერ სად არის, ევროპას მათხოვარივით რომ მიდგომიხარ და ყელის გამოწვევით ეხვეწები, ევროპელად მიმიღეთო და დღეს პარლამენტში **ელგებეტეს** მფარველები სხედან, ხვალ იქ პედერასტების დასხდომას მოითხოვენ. თუ უკმაყოფილება გაბედვ, ისეთ ჯარიმას გამოეწვივები, ისედაც გამოხრულ ბიუჯეტს თავზე დაგამსხვრევენ. პოდა, იმანო, ევროპელობას ასე უცვრემონილდ რომ ეტენები, მეც ევროპელი გამხადეთო, პედერასტებიც უნდა ჩაიხუტო, ერთსქესიანთა ქორწინებაც ამრავლო და თავდაც გაპედერასტდე.

ამ კოპაბიტაციამ ისე დააბეჩავა მეოცნებეთა კოალიცია, რომ **“ნაცებს”** ვჯობებო ბიან ნატოსა და ევროატლანტიკელებთან შეძრომაში. დანაშაულ ველზე ხომ არ მიდინხართ, ასე უხსტად რომ აღვამთ ფეხს ნაციონალთა ნაფეხურებზე. ისინი უცხოეთის ჯინჯილიანი ძაღლისშვილები არიან, როგორც არ უნდა იბუჯითოთ ლიქნში, მაინც ვერ გაასწრებთ და იმას კი მიაღწევთ, რომ ამგვარმა ევროატლანტიკურმა დაქუცმა ეგ მისწრაფება ნამდვილ დანაშაულ ველად გიქცითო.

ხალხი მოითხოვს ცხინვალის ავანტიურის, რუსეთ-საქართველოს ომად რომ ნათლავდნენ, გამოძიებას და ქვეყნის დამაქცევართა სათანადოდ დასჯას. რატომ მიჩუმათდა ერის ამ დია ჭრილობის მკურნალობის საქმე?

ვის აქვს უფლება, ქართველ ხალხს აუკრძალოს ჭეშმარიტების სააშკარაზე გამოსვლა და დამნაშავეთათვის სათანადოდ მიზღვა? განა ამან ამერიკის სახე უნიღბოდ არ გააშიშვლა?

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ მაიკლ ტერნერმა ინტერპელს თითო რომ აუქნია, არ გაბეძოთ სააკაშვილზე ძებნის გამოცხადებაო, ამით საერთაშორისო კანონმდებლობას სცა პატივი, თუ აღმართის მხენელ ძაღლებს? რატომ ვერ ვხვდებით, რომ ისტერიკაში ჩაყარდნით ბავშვივით ნატოსა და ევროკავშირის წევრობის მოთხოვნით სულ დაგვარგეთ ავტორიტეტი და საქართველო გაპარსულ ზღარბს დავამსგავსეთ, რომელზეც შიშველი ადგილით დაჯდომა ყველა ბილწს და ოხერს შეუძლია.

დღემდე ვერცერთი ხელისუფლება ვერ მიმხვდარა, რომ მისი სიძლიერე ხალხის იტერესების დაცვაშია. უცხოეთის ცურზე მოტივებული მარიონეტის ბოლო კი ისეთი რისხვა და პანდურია, რომლისგან ვერავითარი ძლიერე მფარველი ვერ დაიცავს.

ამერიკელები არ იმეტებენ თავიანთ ძაღლისშვილს, რომლის ღალატითაც შეძლეს საქართველოს გაერთიანების მცდელობის მოსავლეთში გადატანა და რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის პერსპექტივების გახსნება; შედეგად ქვეყანა ადვირით სამართავ არსებად გაიხადეს. ჰგონიათ, რომ ქართველ ხალხს პროტესტის მუხტი სულ შემოეხარჯა, თორემ როდის იყო ასეთი მომთმენი. ამერიკის ელჩად წოდებული, ფაქტიურად შტატის გუბერნატორის დონეზე გაყოფილი დაგვიცინის და საითაც უნდა იქით მიგვანრიგებებს; თუ კისერი მოვიტყეხო, ჩვენსავე თავპარიანობას დააბრალდებენ.

განა მასხარად ავადებაზე უარესი არ არის, როცა ასე მოულოდნელად თავდაცვის მინისტრად გვინიშნავენ დედაკაცს, რომელსაც ჯარის ამერიკელთა ცენტრალური სადგურელო სამმართველოს გრანტიჭამია, სოკოსავით მომრავლებული არასამთავრობოთა რიგში ჩაყენება ვვალდება. გაანთავისუფლეს სამხედრო საქმის მცოდნე პრინციპული მინისტრი, რომელმაც განაცხადა, ევროპაში ქართველი სამხედროების წახალა არ შეიძლებაო. ანტიეროვნულმა საპარლამენტო ოპოზიციამ მის გადაყენებაზე დავაგვით გულისპირი მოუქონა ამერიკელებს, რასაც ელჩად წოდებული გუბერნატორის მოქმედება მოჰყვა. მოხსნა პრინციპული მინისტრი და დედაკაცი დანიშნა მის ადგილზე; რაც ხართ, ისეთ მინისტრს იმსახურებთო. ეს ამბავი ახლად გადვიტებულმა პრემიერ-მინისტრმა თვალდის ფშვანებით შეიტყო. მაგარი ბიჭი ხარ და შეედეგე, დინების საწინააღმდეგოდ მოცურავის ბრალდება არ ავცდება.

ამხელა მოლაყებო პოზიციასა თუ ოპოზიციამ კაცი არ გამოჩნდა, თამამად ეთქვა,

რომ მათ მიერ შემოთავაზებული ბადრიჯანი კიტრი არ არის, ასე ენერგიულად რომ გვაბითურებენ, დადევნო, რადგან ჩვენ ვერ გვეუშტურებო. თავდაცვის მინისტრობა რა ისეთი ხელწამოსაკრავი პოსტია, რომ ყალბი კონკურსი მაინც არ მოეწყოთ, ხალხის თვალების ახვევის ნაციონალების მიერ მოგონილი ილეთი ნახმარ ხოხასავით ასე კარგად რომ მოიგო ქალაქის მერამ და მისმა რაიონულმა გამგებობამ. მერე გასაუბრებაზე თქვენს მიერ შერჩეულ კადრზე გეთქვათ, რომ ამ ქალბატონმა მოიგო დიდგორის ომი და შეუდარებელი სტრატეგია. დღევანდელი სიცრუის თთურმაში ვინც არ დავიჯერებდათ, მისას ეჯობნა. იაპონიაში ახალ თაობას თუ თავში ტენიან, რომ ისინი ატომით რუსეთმა დაბომბა, საქართველოში ნორლანდის თვითნებობის შემქურეთ ეს გაგვიტრდებოდათ ისეთი დაბოლების ოსტატებს, ევროპაში შევედივართ კი არა, თურმე იქ რომ ვბრუნდებით.

თქვენ თუნდაც ასჯერ დაბრუნდით ევროპაში, ოღონდ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ქართველი ერი წმიდათაწმიდა კაგაკისური ტრადიციების ერთგულია. მის მეზობლადაც წინაპართა ხსოვნის, უფროსი თაობის, ოჯახის სიმტკიცის, ხეობის, სქესობრივი სისპეტაკის თაყვანისმცემელი ხალხები ცხოვრობენ. გარყვნილება-გადაგვარების და უხეივობის დამკვიდრებით გინდათ საქართველო გაერთიანება?!

ახერბაიჯანის **ლგბტ** თემმა თვითლიკვიდაცთა გამოაცხადა. ისა-შამილა – მათმა ვაჭარამ თავი ჩამოიხრხო. სად იყო ევროსასამართლო ახერბაიჯანი რომ მაგრად დაეჯარიმებინა; იმას სიტყვა ვერ შეგდება, რადგან არ ელაქუცებოთ. ასეა, დაქითა ხეგობი დამკრებო და აბუხად ავადება. ჩვენთან კი **ლგბტ** ვაჭარამ პარტიარქს ღანძლავს და პრეზიდენტის რეისტრში დიდი პატივით სარგებლობს.

ახერბაიჯანში მთიანი ყარაბაღის პრობლემა აქეთ და თანამომე თურქებიც მხარს უჭერენ, მაგრამ ბრწყინვალედ ესმით, რომ რუსეთის გარეშე ამ პრობლემას ვერ გადაჭრიან. ჩვენსათვის ღანძლავიანებით კი არ იკლავებენ, მათთან ნორმალური ურთიერთობით ინარჩუნებენ სტაბილურობას, სიმშვიდეს, წარმატებებს.

ევროპასთან უეიზო რეჟიმის გაუქმების ისტერიკას თითქმის მთელი **“ოცნება”** მიახარჯეს. იფიქრებდი, ამის შემდეგ საოცნებო აღარაფერი იქნებოდა. არადა, რამხელა შედეგითაა დაჯრდომილი მოსუქების მოსავლელად ქართველი მანდილოსნები უეიზოდ რომ წავლენ. ჩვენ კი ევროპელობის შეპირებას იმ გიჟის მოლოდინით ვხვდებით, აღვროვანებულნი რომ იყო მათი სამყურნალოს უფროსით, შშრად აუზში თავდაყირა გხტებოთ და შეგვიპირდა, თუ კარგად მოიქცევით წყალს ჩაგისხამთო.

ამაზე კარგად მოქცევა როგორიდაა, როცა ევროპელობის ფსიქოზს აყოლილები მზად ვართ წინაპართა სისხლით მორწყული მიწები უცხოელებს გადავულოცოთ; პედერასტებს, ლესბოსელებს და ათასი ჯურის სქესობრივ მანიაკებს მამაპაპური ხეობა, მორალი და ეროვნული სიამაყე ვანაცვალეთო.

მსოფლიოში საამაყო ქართული მწერლობა ქვიშაზე ამოვადებულ კალმასს დავამსგავსეთ; გარყვნილ, უხეივ, მერალტულადების მწერლებს წიგნების გამოქვეყნებას ვუფინანსებთ, პრემიებს ვაძლევთ და საზღვარგარეთ ვაგზავნით თავიანთი ნაცოდელივით უცხოელთა გასაოცებლად. ნამდვილ მწერლებს კი კრძოთ მქვარებებს ვაბარებთ და თუ საცოდავად რაიმეს გამოქვეყნება მოახერხეს, წილში ვუვადებთ. რეცეპტების გარეშე წამლების გაცემა აკრძალეთ, რათა ისედაც დამშუული პენსიონერები როგორმე მოვიცილოთ. მათი პენსია ხომ ვირთხის მიერ გამოსუტულ კვერცხის ნაჭუჭს დავამსგავსეთ. ახლა დამშუულებს ან პენსიის მიღების, ან რეცეპტის შოვნის რიგში ამოსძვრებათ სული. წამლის ფასსა და მის საშოვნად სპეკულანტებთან სირბილს ვიდა ჩივის; ხომ ხედავთ, ამ ილეთით ნაციონალებსაც ვაგასწავრით.

კიდევ რას ითხოვთ ჩვენგან? ახლა ერთსქესიანთა ქორწინებასაც დავაკანონებთ და იმ მოთხოვნებსაც შევასრულებთ, დამშუულ-დაბეჩავებული ხალხისთვის ბოლომდე ყველაფერი რომ ვერ გავაძლავებთ.

საგარეო საქმეთა მინისტრად ბერძენიშვილს დავსვამთ და ამ სრულ

ანტიეროვნულ მყრალ სამთავრობო ბუკეტს მაკკეინს, მაიკლ ტერნერს, გუბერნატორ ელჩს და მათ მსგავს საქართველოს დაბეჩავების მსურველთ კაბინეტში მივართმევთ, რათა ყოველდღე მისი სურნელით დატკბნენ.

სხვა რაღა ვიდროთ, მოგვცათ ეგ არასავიზო რეჟიმი, რათა ისედაც განახევრებული ქვეყანა ქართველთაგან სულ დაცლილიყო და მერე გვეგულანათ აღმადამა, ოღონდ სიფრთხილე კია საჭირო, რომ ღვთისმშობლის კუთვნილების მითვისება ჯოჯოხეთურ ღვთისრისხვად არ გექცეთო. ნახეთ, რამხელა სისხაძავლის მტკირთველია ეროვნული სიამაყის სანაცვლოდ ამერიკული დოლარის ცხიმიან ქოსმენობაზე დახარბებულთა სიმადრის უზრუნველყოფისაკენ სწრაფვა.

ცხინვალის მხრიდან ქართველთა სისტემატური გატაცება და მერე მათ დაბრუნებაზე ევროპაში ჩივილის ფონზე რამხელაზე უნდა იყო ევროამერიკულ ჯადოქრობას ნაზიარები, რომ თვითკმაყოფილი ყვეყნის სიცრუით გვაბითურებდეთ, თურმე ავღანეთში, აფრიკაში თუ საღდაც, ცხრა მთას იქიდან საქართველოს იცავირველი მიმოიხედვ, რომელიმე დამოუკიდებელ პატარა ქვეყანას ჰყავს უცხოეთის ლაქუცზე მორგებული ხელისუფლება?! ქართველი ხალხის თუ არ გვრიდება, რატომ ვერ ხვდები, რომ შენგანვე მონათლულ მსოფლიო თანამგობრობაში დავაციინან!

მთელი ერი თქვენს კუჭის ბორგვას უნდა გადააყოლოთ?

თქვენ პრემიებს და ხელფასის დანამატს ბიუჯეტი ვეღარ აუდის. როგორ არ უნდა იკმართო ის, რაც რიგითი ქართველის შემოსავალზე ასჯერ დიდია. საკუთარ თავზე მზრუნველ პარლამენტში, პარლამენტარობის შემდეგ, ხნიერსაც და ახალგაზრდასაც ისეთ მუღმივ პენსიას უნიშნავენ, რომ ნამდვილი პენსიონერის ოცნებაც კი ვერ მისწვდება. ეს ხდება ქვეყანაში, სადაც ყვეგნი ხარაძე და მისი მსგავსი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები შიმშილით იხოცებიან. ამას დაუმატოთ ყველა დიდჩინოსანისათვის დაცვის დანიშვნა და თუ ასე გაგრძელდა, ბიუჯეტი მათ ძირგავარდნილ მადას არ ყოფა. ასეა, ბიძიკო, ევროატლანტიკური ზომბირების შხამის შემსაპუნება ადამიანში ერის და ბერის სიყვარული გრძნობას ბოლოს უღებს.

არც პარლამენტარები და არც პრეზიდენტი ხალხისგან დავალებული არ არიან, რამეთუ ხალხმა ბიძინას მისცა ხმა, ცხოვრების სასიკეთოდ მოწვევის იმედით. მას კიდევ რომ **“არაფერი ეშლება”**, მარგველაშვილის და ალანხიას მაგალითიც კმარა. მისგან შემოსაღებულ ურეიტინგო პარტიებს კი დღეს ბაირამობა აქვთ და ჰგონიათ სამყარო მათ ირგვლივ ტრიალებს. რესპუბლიკელებსაც ავიწყდებათ, რომ რაც არ ერგებათ, ის არ შეერგებათ.

რაც არ უნდა ეცადოს ისტორიის გაყალბებას ჭაკზე ამხედრებული დასავლეთი, წამართს უკულმა ვერ დაატრიალებს. კაცობრიობის უდიდესმა გენიამ – სტალინმა დაასამარა ფაშიზმი; ქართველმა ქინორამ, რუს ევროპოვთან ერთად ააფრიდა რაიხსტაგზე გამარჯვების დროში; ქართველი მხატვრის თოიძის პლაკატი ადვროვანებდა მებრძოლებს მთელი ომის განმავლობაში; ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველომ ამერიკისხელა მსხვერპლი გაიღო, არ ეკუთვნოდა გამარჯვების 70 წლისთავი დამსახურებისამებრ ქეიმა?

ნურც იმას დავივიწყებთ, რომ გერმანიის ფაშიზმი ევროამერიკელებმა გამოკვებეს რუსეთის დასაკებნად, ახლა კი უკრაინაში ნეოფაშისტებს ანებვირებენ და ქართველ ნაციტებს აყვებენ.

არადა, დაღუპვის გზაზე შემდგარი ქართველი ერის გადარჩენა ისევ ერთ-მორწმუნე რუსეთთან მეგობრობას შეუძლია. ერთხელ ხომ უკვე გადაგვარჩინა, საქართველოში ქართველი სანიდით საქმენი რომ ხდებოდა. გამოფხიზლებას იწყებს ქართველთა თვითგადარჩენის მძლავრი გენი, ევროატლანტიკურ უბედურების ჯადოს მოსავლეთში მოისრიალებს და ერთ-მორწმუნე რუსეთის მეგობრობით კვლავ გამოთლიანდება, აღორძინდება, აყვავდება და გამარჯვებას მასთან ერთად იხეიმებს!

ბიზი სომხიშვილი, მწერალი

სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფია იაკობ რაინების სამოზაზრო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

სამეგრელოს ბუნების მშვენიერებით მოხიბვლილი მოგზაური ყურადღებას მი-
აპყრობს ამ კუთხის მოსახლეობის სო-
ციალურ მდგომარეობას და მისი მართვის
სისტემას. იგი გმობს სამეგრელოს მფლო-
ბელებისა და ბატონების ტირანიას, უხსო-
ვარი დროიდან უდრეკი სიჯიუტით გაბა-
ტონებულ ფეოდალურ წყობას, რაც
მორალურად ანადგურებს ხალხს. ფეო-
დალურ ნაგვრას მიეწვეული მეგრელების-
აგან იშვიათად ისმის დრტივიზა. სიმინდით
სავე გოდრებს და ღობის მინდვრებს ეუ-
ფლებიან არა ისინი, ვინც ხნავს და თესავს,
არამედ – თავად-აზნაურები, დადიანი, საბა-
ქოს რუსი მცველი, მესხლერე ჯარისკაცი
და კახაკი (იქვე: 154-155).

ვაგნერი სამეგრელოში გამოყოფს ოთხ
სოციალურ ფენას: დადიანს, ანუ
ხელმწიფეს, რომელმაც 1804 წლიდან
რუსეთის იმპერატორის სუვერენობა აღი-
არა; მხარის თავადებს, რომლებიც ფლობენ
მნიშვნელოვან ქონებას და სოფლებს აუ-
ჯანდლებიან ხოლმე თავის მბრძანებელს,
აზნაურს და ყმა-გლეხს. ეს უკანასკნელი
თავისი მოსავლის გარკვეულ ნაწილს
აძლევს აზნაურს, თავადსა და მთავარს;
ამასთანავე, ვაჟს ან ქალიშვილს უშვებს
ამალაში მოსამსახურედ. გლეხმა იცის,
რომ ეს გადასახადი ტრადიციულად
გარკვევით დადგენილია და რომ მას
უფლება აქვს, თავის ბატონს დადგენილზე
მეტი არ მისცეს. ის არც მეტს აკეთებს, არც
– ნაკლებს. ყოველი გლეხი თავის ტრადი-
ციულ დავალებას უყოყმანოდ ასრულებს.
თუკი თავადი ან აზნაური თავს ნებას
მისცემს და მას იმაზე მეტს გაკეთებას
მოსთხოვს, რასაც ოდიტანგე იყო
დაწვეული, გლეხი თავს უკიდურესად შეუ-
რაცხყოფილად გრძნობს და გაქცევაზე
იწყებს ფიქრს. ის თურქულ მხარეში გარ-
ბის და მამკვიდრდება.

ჩანაწერის ყველაზე სახიზღარ ფორმად
მორიც ვაგნერი სამეგრელოს მთავართა
ნადირობას მიიჩნევს. თავკადადებულ
მონადირედ ქცეული დავით დადიანი თავის
სამფლობელოში ყველა მიმართულებით
დახეტიალობს და მიუხედავად იმისა, რომ
ბევრი სახლისა და სახსლის მფლობელია,
ნადირობისას მისი მამის – ლევანისა და
პაპის – ვამეყის მსგავსად, მაინც აზნაუ-
რებთან და გლეხებთან ჩერდება. იგი
თავისი მონადირეთა ჯგუფით, მოხეტიალე
კალიების გუნდით შეესევა აზნაურის
ან გლეხის სახლ-კარს და მანამ არ
ტოვებს იქაურობას, ვიდრე საბრალო
სახლის პატრონის უკანასკნელი ქათამი
და ბოლო მჭადი არ შეიჭმება (იქვე: 155-
156). დადიანის ცხოვრების ხასიათზე
თითქმის ანალოგიურ ცნობებს გვაწვდის
ედუარდ აივყალიძე, რომელიც, როგორც
ჩანს, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას
ვერდნობოდა ვაგნერის მონაცემებს (აიხ-
ვალდი 2005: 193). ბატონისა და მისი
მსახურეების პერიოდული სტუმრობა და
მათი გამასპინძლება აზნაურებზე გლეხთა
ოჯახებს. სამეგრელოში ერთი ასეთი სტუმ-
რობის შესახებ მოთხრობილია იოანე
ბაგრატიონის „კალმასობაშიც“ (კაკაბაძე
1929:51-52).

სამეგრელოს სამთავროში ყმა-გლეხთა
ყოველწლიურ ვალდებულებას წარმოად-
გენდა სხვადასხვა სახისა და გარკვეული
რაოდენობის პროდუქტის მიერთება,
აგრეთვე მებატონის სასარგებლოდ საველე
მუშაობა (ნადობა), ბატონის ცხენისა და
მეჯინების შენახვა (ცხენის ჩაბმა), ბატონის
ტვირთის გადაზიდვა ზურვით ან ურმით
(ტვირთობა), ქვის თლა, ღურგლობა, კალა-
ტოზობა, ბატონთან ყოფნა (ქეშიკობა), საში-
ნო სამსახური: მეჯინებობა, აზნაურობა,
მეთევზეობა, ღობის ცეხვა, მეწისქვილეობა,
მხარეულობა, ძიძობა, მეციხოვნეობა და
ა. შ. დაწესებული იყო სხვა ბევრა-
ვალდებულებებიც. კერძოდ, „საური“ (საერ-
ობო გადასახადი), „საუდიერო“, „ოჩამური“
ან „ოჭკომური“ (სადილი), „საყვედიერო“,
„სახურო“ (მშენებლობასთან
დაკავშირებით), „ძღვენი“, „სამასპინძლო“,
„საპურე“ ანუ „სამახეობა“, „საქორწილი“,
„საკურთხელო“ (ბაზიერ-მეძებართა შესანახ-
ად), „საუნადო“ (მებატონის ყანაში
სადიდებულ სამუშაო), „ოდიდობიერო“
(სადიდმარხვო), „საადლო“, „საქერო“,
„საჩქეშე“, „საციხო“ (ციხეების შესანახად),
„სამოურაო“ და სხვა მრავალი (მაკალათია
2006: 242-243).

გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ყვე-
ლაზე გავრცელებულ ფორმას გლეხების
აურა-გაქცევა, დამატებით გადასახადებზე
უარის თქმა და თავდახსნისათვის ბრძოლა
რომ წარმოადგენდა, დასტურდება სხვა
წერილობითი წყაროებითაც. ყმები ღიხთ-
იმერეთიდან გარბოდნენ აღმოსავლეთ
საქართველოში, რაც იმაზე მიუთითებს,
რომ ქართლ-კახეთთან შედარებით აქ ექს-
პლოატაციის უფრო მძიმე იყო (დუმბაძე
1957: 109-110).

„ოდიშის“ ეტიმოლოგიას საინტერესო
გამოკვლევა უძღვნა ვუკოლ ბერიძემ. ის
ფიქრობს, რომ სიტყვა ოდიში ო- არ
წარმოადგენს პრეფიქსს, არამედ ძირეულია,
რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ ამ
პრეფიქსს თავისი ფარდი უ- ან ო- სუფიქსი
ქორნიმ ოდიში არ მოეპოვება. ო-ს
თავსართად მიჩნევის შემთხვევაში უნდა
გვეჩინოდა ოდიში ან ოდიშო, ე. ი. სადიშე
ან სადიშო, სხვაგვარად: დიშეთი – დიშე-
ბის ქვეყანა, ოსმინდეს, ომანე-ს, ომანო-ს,
ოვგაჯეს, ოხვამეს, ოჭკათეს, ოჭკათოსა და
სხვათა მსგავსად. მკვლევარი დაასკვნის,
რომ ოდიში მეგრული ნათესაობითი ბრუნ-
ვაა და „ოდის კუთვნილს, ოდის ქვეყანას“
ნიშნავს. თეთი ოდის კი ქვეყნის პატრონად,
მოსავლისა და ჭირნახულის ღმერთად მი-
იჩნევა: „ოდი მთავარი ღვთაებაა ქვეყნისა...
ოდი ღვთაებაა როგორც მოსავლისა, ისე
მოუსავლობისა; ოდი ღმერთია როგორც
წვიმისა, ისე შისისა“ (ბერიძე 12, 1959: 168-
169).

თ. ბერაძე მიმოიხილავს იოანე ბატონ-
იშვილის, მოხე ჯანაშვილის, სარგის კაკ-
აბაძის, ნიკო მარისა და ვუკოლ ბერიძის
მოსაზრებებს „ოდიშის“ ეტიმოლოგიასთან
დაკავშირებით და დაასკვნის, რომ არცერთ
მათგანს საგულისხმო ახსნა არ წარ-
მოუდგენია (იქვე: 461-462).

გ. ბერიძის თვალსაზრის ისტორიკოსი
თ. მიხეიანი შეცდომით მიაწერს თამაზ
ბერაძეს; თუმცა იქვე დასძენს, რომ აღ-
ნიშნული სახელწოდების წარმოშობის
შესახებ ამ უკანასკნელსაც საკუთარი
მოსაზრება არ გამოუთქვამს (მიხეიანი
1989: 283).

თ. მიხეიანი ფიქრობს, რომ „ოდიში“
შედარებით ძირე გეოგრაფიული არეალის
მომცველი ტერიტორიის სახელწოდება
უნდა ყოფილიყო. გარკვეული მიზეზების
გამო დროთა განმავლობაში გაფართოე-
ბულ ტერიტორიასაც ოდიში ეწოდა. სვა-
ნური პად „იელი“ (მეგრ.
იბლი/იელი/ვი/ელიში კოკა) წარმოადგენს
3 თავსართდაკარგული ტოპონიმის – ადი-
შის (სოფელი მესტიის რაიონში) ფუძეს.
სვანური პადიშ მეგრულ ენობრივ სამ-
ყაროში შეიცვალა პოდიში ფორმით, რადგან
მეგრულითვის დამახასიათებელია ა/ო-ს
მონაცვლეობა... დროთა განმავლობაში 3
ბგერა აღნიშნულ გეოგრაფიულ სახელსაც
ჩამოცილდა და, მაშასადამე, დღემდე მოლ-
წეული ფორმა ოდიში ნიშნავს იელნარს.
მკვლევარი დაასკვნის: საფიქრებელია, რომ
სვანური სამთავროს რეზიდენციის სახელი
ოდიში ზანური თინიკური მასის მომ-
ქმდებრების შემდგომ ფართო პოლიტიკური
ერთეულის ცნებად გადაიქცა (მიხეიანი
1989: 285).

ვახუშტის ცნობით, ოდიში ეწოდება ცხ-
ენისწყალსა და ანაკოფის შორის მდებარე
არცელ ტერიტორიას; „საზღვარი ოდიშისა
არც ცხენისწყალი და ხაზი ისუღეთამდე,
მერმე თაკუერსა და ოდიშს შორისი მთა...
ოდიშსა და სვანეთს შორისი, სამზღვრით
მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და
კუალად ვეურის მდინარის შესართავს
დასავლეთი – შავი ზღვა. დასავლეთი
ზღვა შავივე და კუალად ანაკოფის
მცირე მთა, კავკასიამდ ჩამოსული სამპრით
ზღვამდე... ჩდილო – კავკასის მთა“ (იქვე:
776). აქ სახელოვანი მეცნიერი მიზნად
ისახავს ერთიანი საქართველოს დაშლის
შემდეგდროინდელი ოდიშის პოლიტიკური
რეალობის აღდგენას.

მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის
მიხედვით განსაზღვრული ოდიშის სამ-
თავროს აღმოსავლეთი საზღვარი მდ. ცხ-
ენისწყალი და ლეჩხუმ-ოდიშის გამყოფი
მთა იყო; სამხრეთი საზღვარი რიონზე
გადიოდა და გურიისგან გამოყოფდა;
ჩრდილოეთი საზღვარი სვანეთ-ოდიშის
გამყოფ ვერისის ქედს გასდევდა;
დასავლეთისა კი შავ ზღვამდე ვრცელდუ-
ბოდა.

ედუარდ აიხვალდი მიიჩნევდა, რომ
სამეგრელო ორ დიდ პროვინციად – ლეჩხ-
უმად და ოდიშად იყოფა: ოდიში ცოტა
დიდია პირველზე, თუმცა ლეჩხუმში უფრო
დასახლებულია ორივე პროვინციას
სამეგრელოს სახელის ქვეშ აერთიანებენ.
ამიტომ ლეჩხუმს არ უნდა შეეხედოთ რო-
გორც ცალკე პროვინციას, თუკი დადიანს
სამეგრელოს ბატონს ვუწოდებთ. სამეგრე-
ლო პროვინციის ძველი სახელწოდებაა,
რადგან აქამდე მეგრელები მას ოდიშს
უწოდებენ. მეგრელები ქართლელთან ან
სხვა უცხოელთან საუბრისას თავის თავს
ყოველთვის მეგრელს უწოდებენ, რადგან
ისინი მათთვის მხოლოდ ამ სახელითაა
ცნობილი (აიხვალდი 2005:184).

უკი ფრანსუა გამბას თქმით, სამეგრელო
სამი პროვინციისაგან შედგება. პირველს,
საკუთრივ სამეგრელოს ანუ ოდიშს
(Odezchi) დასავლეთით შავი ზღვა
ესაზღვრება, სამხრეთით – გურიის სამ-
თავრო, აღმოსავლეთით – იმერეთი,
ჩრდილოეთით – ენგური. მთელი ეს ქვეყანა
უმეტესად წარმოადგენს მცენარეთა ნარ-
ჩენებით განთავსებულ ვაკეს. აქ არის
რუსების საგუშაგოები. აქაურ
მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება,
რადგან მეზობელი ხალხების თავდასხმე-
ბისაგან სამეგრელოს ამ ნაწილს ღრმა
მდინარეები იცავს.

მეორე პროვინცია ლეჩხუმი (Lezgune)
განლაგებულია ცხენისწყლის მარცხენა
მხარეს. იქება ხონის ზემოთ და გადაჭ-
იმულია კავკასიის მწვერვალამდე და იმ
მიუხედავად, სადაც სვანები ცხოვრობენ.
ლეჩხუმის მთავარი მხარეა აღ-
მოსავლეთით იმერეთის ოთხი მხრიდან
ერთ-ერთი – რაჭის ოლქი ესაზღვრება.

მესამე პროვინცია დადიანების სახ-
ელმწიფოს ნაწილს შეადგენს და სამურზა-
იანის და აფხაზეთის სახელთაა ცნობილი.
იგი ჩრდილოეთით გადაჭიმულია კოდორის
კონცხამდე, ამავე სახელწოდების მდ-
ინარემდე, რასაც ძველი ავტორები კორაქსს
უწოდებდნენ. აღმოსავლეთით ესაზღვრება
წიბელის (Tchibelli) საკმაოდ მაღალი მთები.
შეიძლება ითქვას, რომ ეს პროვინცია
არცერთ ხელისუფლებას არ ემორჩილებოდა.
ეს ადგილი წარმოადგენს თავდაცვის ადგი-
ლს და ბარიერს აფხაზეთსა და
მეგრელებს შორის (გამბა 1987:111-112).

ზემოთ მიუთითებდით, რომ ვაგნერის
აზრით სახელწოდება „სამეგრელო“ ამ
ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეს მოე-
ვიანებოდა, თათართა ბატონობის დროს
უნდა მიეღო, მაგრამ ეს არ არის სწორი.
ქორნიმი „სამეგრელო“ პირველად მოიხსე-
ნიება XI საუკუნის I ნახევრის ძველში,
რაც ცნობილ საეკლესიო მოღვაწესა და
მწერალს – ექვთიმე ათონელს ეკუთვნის.
იგულისხმება მაქსიმე აღმსარებლის ქარ-
თული კიმენური რედაქცია, რაშიც კვითხ-
ულობთ: „წარგავლინეს სამარადისოსა ექ-
სორიობასა და პყრობილებასა კერძოდ
სამეგრელოსა... წარავლინა ექსორიობად
სამეგრელოს“ (ეკვთიმე 1918: 93; ბერაძე
1993: 459). სამეგრელო ბიზანტიური
ლაზიკის, მთელი დასავლეთ საქართველოს
მნიშვნელობით დასტურდება ნიკეოვრე
კონსტანტინოპოლელის „ისტორიის“ ქარ-
თულ, 1142 წლით დათარიღებულ რედაქ-
ციაში, ხოლო XII ს. პირველი ნახევრით
დათარიღებულ „დავით და კონსტანტინეს
ცხოვრებაში“ ქორნიმი „სამეგრელო“ ვი-
წრო მნიშვნელობითაა ნახმარი და
მეგრელებით დასახლებულ დასავლეთ
საქართველოს ტერიტორიის ნაწილს აღ-
ნიშნავს. მაშასადამე, „სამეგრელოში“ XI
საუკუნისათვის მოიაზრებოდა როგორც
მთელი დასავლეთ საქართველო, ისე
საკუთრივ მეგრელებით დასახლებული
ტერიტორია (ბერაძე იქვე: 459-460).

სამეგრელო მხარის სახელწოდებაა
დასავლეთ საქართველოში. იგი მდებარე-
ობს კოლხეთის დაბლობზე, კავკასიონის
ქედის მთისწინა და ნაწილობრივ მთიან
ზოლში. მისი ფართობი დაახლ. 4339, 2
კმ2-ს შეადგენს. მისი ტერიტორია მო-
ქცეულია შავ ზღვასა და ცხენისწყალს
შორის. ჩრდილო-დასავლეთით მდ. ენგური
ესაზღვრება; სამხრეთი საზღვარი ძირი-
თადად რიონზე გადის, ხოლო
ჩრდილოეთით ეგრისის ქედამდე ვრცელდუ-
ბა. თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერი-
ტორიული დაყოფით სამეგრელო 7 მუ-
ნიციპალიტეტს მოიცავს. ესენია აბაშის,

ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს,
წალენჯიხისა და ხობის მუნიციპალიტეტე-
ბი. ეს ტერიტორია ყოველთვის მეგრელებით
ყო დასახლებული და შედიოდა ქართული
სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ასევე არასწორია „მეგრელის“ რაინე-
სისეული ეტიმოლოგია, რომ თითქოს ეს
სახელი პართელებმა უწოდეს და მათ
ენაზე მინე-რეულ თურმე „ათას წყაროს“,
„აყვავებულ მიწას“ ნიშნავს (იქვე: იხ.
მთარგმნელის შენიშვნა სქოლიოში:119).

ლეჩხუმის ფეოდალური სენიორია ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში

ჩრდილო-აღმოსავლეთით ოდიშს ლეჩხ-
უმი ესაზღვრებოდა. რაინეგის ერთმანეთი-
საგან განსხვავებულს თავიერსა და ლეჩხუმს.
მოგზაური შენიშნავს, რომ თავიერი ეწოდუ-
ბა მშვენიერ დასახლებას პიპოსის მარ-
ჯვენა ნაპირზე, ხონიდან ხუთ ვერსზე
სამხრეთით (იქვე: 121). სინამდვილეში
თავიერი ხონის ჩრდილოეთითაა. ვაგნერის
თქმით, „იქ, სადაც პიპოსი ლეჩხუმის მთებს
ტოვებს და დაბლობზე რამდენიმე ვერსს
გაივლის, მის მარჯვენა ნაპირს ამშვენებს
რეცია (Rhazia?), სამეგრელოს მთავრის
ქალაქი და რეზიდენცია, საიდანაც ის
ზაფხულობით ზემონახსენებ თავიერში
გადადის. რეციაში ბევრი აბრეშუმი მო-
წყავთ; სამეგრელოში დამზადებული აბრე-
შუმის მთელი მარაგი აქ მოაქვთ და
ყიდიან, ან აქვე გადაამუშავენ“ (იქვე: 121).

პუნქტი „რეცია“ სახელწოდებით ცხ-
ენისწყლის ხეობაში ამჟამად არ დასტურ-
დება, მაგრამ რაინეგის მიერ წარმოდგე-
ნილი გეოგრაფიული აღწერილობის გათ-
ვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ,
რომ ესაა ამჟამინდელი ხონის რაიონის
სოფელი გორდი. ამ თვალსაზრისით საინ-
ტერესოა ცნობილი გერმანელი გამომცემ-
ლისა და წიგნებით მოვაჭრის – იოჰან
ჰაინრიხ ცელდერის (1706-1751 წწ.) ცნობა
შემდეგი სალექსიკონი სტატიიდან: „რეგია
(Regia) – ციხესიმაგრე კავკასიონის
მთიანეთში, რომელსაც ქვემოთ მდინარე
რიონი ჩამოედის. მდებარეობს აზიაში,
საქართველოს ყველაზე დიდი სამეფოს –
სამეგრელოს ტერიტორიაზე“ (გოგოლაძე,
საითიქე 14, 2011: 549).

ვახუშტის ცნობით, „გორდიამ ვიდრე
კავკასამდე არს ხეობა ლეჩხუმისა, რომელსა
უწოდებენ თავიერად“ (ვახუშტი IV, 1973:
750). ვახუშტის რუკებზე დაკვირვება ცხ-
ადყოფს, რომ გორდის სამხრეთით, ცხ-
ენისწყლის მარჯვენა მხარე ოდიშის შე-
მადგენლობაშია, მარცხენა მხარე კი
იმერეთში შედის: „ხოლო ისუღეთიდან
ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე გორ-
დამდე, არს დასავლის მხარე ოდიშისა, და
აღმოსავლეთის კერძო იმერეთისა“ (იქვე).

საქართველოს სამეფოს დაცემის შემდეგ
ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს შემადგენ-
ლობაში აღმოჩნდა, ხოლო შემდეგ XVII
ს-ის 70-90-იანი წლებიდან, ოდიშის მთავარ-
თა მფლობელობაში გადავიდა. აღ-
ნიშნულის შესახებ ვახუშტი გვაუწყებს:
„გარნა ესე ლეჩხუმი, შემდგომად განყოფისა
სამეფოთასა, იყო ტალანი იმერთა მეფისა,
და აწ უპყრავსთ ჩიქოვანს, რომელიც არს
დადიანი“ (იქვე: 750).

რაჭით, სვანეთით, ოდიშითა და ოკრიბით
გარშემორტყმული ლეჩხუმის მხარე რო-
გორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტორიულად
იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში იყო.
მისი აღმოსავლეთი საზღვარი რიონის
მარჯვენა შენაკადზე – ასკისწყალზე გა-
დიოდა; ჩრდილოეთით, ე. წ. „ლეჩხუმის
ქედი“, სვანეთისაგან იყო გამოყოფილი;
დასავლეთით ასხისა და უნავირას მთე-
ბამდე (ოდიშის ქედი) ვრცელდებოდა, ხოლო
სამხრეთით, ცხენისწყალზე, ლეჩხუმის საზღ-
ვარი გორდამდე უწევდა (ბერძენიშვილი,
ბანძელაძე... 1983: 3). მაშასადამე, ოდიშს
ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრებოდა
ზემო ლეჩხუმი (ლეჩხუმის კუთხე ცხ-
ენისწყლის ხეობაში, გორდიდან მურის
კლდეკარამდე) (იქვე: 4).



ტაბაჭუშის მოსახლეობა სომხეთის პარლამენტის დეპუტატსა და სომხეთის გარემოს დაცვის ყოფილ მინისტრ ვარდან აივაზიანს სასამართლოში უჩივს. ადგილობრივები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მიერ სომეხი დეპუტატის კომპანიისათვის გაცემული იმ ლიცენზიის ბათილად ცნობას ითხოვენ, რომლის თანახმადც მათ ტაბაჭუშის ტბაზე თევზაობა შეეზღუდათ. ამბობენ, რომ სოფელში მათი შემოსავლის ერთადერთი წყარო მხოლოდ თევზაობა იყო.

საქმე ისაა, რომ ტაბაჭუშის ტბა 2010 წლის 2 სექტემბერს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამოცხადებული აუქციონის შედეგად 1.832 ლარად გასხვისდა. აუქციონზე მხოლოდ ერთი კომპანია მონაწილეობდა – შპს “ტბები”, რომლის 90%-იანი წილის მფლობელი სწორედ ვარდან აივაზიანი იყო. საჯარო რეესტრის მონაცემებით, კომპანია აუქციონამდე რამდენიმე დღით ადრე, 30 აგვისტოს შეიქმნა.

ეკონომიკის სამინისტრომ ტაბაჭუშის ტბა 20-წლიანი სარგებლობით შპს “ტბებს” მხოლოდ იმ პირობით გადასცა, რომ ტბაში თევზი სტაბილურად იქნებოდა, ანუ გათევზიანება უნდა მომხდარიყო. ადგილობრივები ამბობენ, რომ კომპანიამ ეს პირობა არ შეასრულა. უფრო მეტიც, შპს “ტბებმა” თევზის განადგურება დაიწყო. კერძოდ კი სვეანის ტბიდან ყუთებით 80 ტონა კიბორჩხალა ჩამოიტანეს და ტბაში გაუშვეს. კიბორჩხალები კი თევზის ქვირითებით იკვებებიან.

მათივე ინფორმაციით, ამის შემდეგ ტბაში მობინადრე 13 სახეობის თევზი თითქმის სრულად განადგურდა, თუმცა, როგორც აივაზიანი ტელევიზიებისთვის მიცემულ ინტერვიუებში აღნიშნავდა, ლიცენზიაში გაწერილი პირობების თანახმად, მან ტბაში 10.000 ლიფსიტა და კალმახი გაუშვა.

ამასთან, სოფლის მოსახლეობა იმასაც აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც აივაზიანმა ტბა შეისყიდა, მათ თევზაობის უფლებაც შეეზღუდათ.

“კომპანია “ტბებმა” დარაჯები დაიქირავა, რათა ადგილობრივებისთვის იქ თევზაობის უფლება არ მიეცათ.

აკრძალვის მიუხედავად მაინც ვთევზაობთ ხოლმე, რადგან არსებობს მხოლოდ თევზის გაყიდვით ვახერხებთ, თუმცა, ტბაში თევზი თითქმის აღარაა. ამდენი წელია ამით ვარსებობთ და ერთ დღეს ვარდან აივაზიანმა გამოგვიცხადა, რომ ამიერიდან ტბა მისი საკუთრებაა, ამიტომ თევზაობას უნდა შეეშალოს.” – ამბობს ადგილობრივი ლავრენტ მურადიანი.

მისივე თქმით, სოფლის მოსახლეობამ დახმარებისთვის არაერთხელ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას, თუმცა, უშედეგოდ. როგორც მურადიანი აღნიშნავს, ადგილობრივები მზად არიან, ხელახალი აუქციონის შემთხვევაში ტბაზე თევზაობის უფლების მოსაპოვებლად ლიცენზია თავად შეიძინონ. ზემოთ ხსენებული მიზეზებისა და პრობლემის გამო ტაბაჭუშელებმა აივაზიანს სასამართლოში უჩივეს.

საგულისხმოა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ 11 მარტს ჩანიშნული პირველი მოსმენა გაურკვეველი ვადით გადადო.

ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ სომეხ დეპუტატს კარგი ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილთან. მათივე განცხადებით, აივაზიანი ხშირად ჩადიოდა ტაბაჭუშში და მასთან ერთად დროს ატარებდა.

გაზეთ “ვრასტანის” რედაქტორი და საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ვან ბაიბურთი აივაზიანს დადებითად ახასიათებს და ამბობს, რომ მან 2010 წელს ტბა კანონის სრული დაცვით შეიძინა. ბაიბურთი მიიჩნევს, რომ დეპუტატს ადგილობრივებისთვის ზიანის მიყენება აზრად არ ჰქონია.

“ვარდან აივაზიანი ჩვენებური ადამიანი და კარგი მეგობარია. თვითონაც ტაბაჭუშელია და ამიტომ ვფიქრობ, რომ ადგილობრივებს არაფერს აუკრძალავდა. აივაზიანი ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი მხარდამჭერი, აგენტური და პროპაგანდისტი. ვიცი, რომ ის კანონდარღვევას არ ჩაიდენდა. დანამდვილებით ვიცი ისიც, რომ ტერიტორია კანონის შესაბამისად შეისყიდა, ამიტომ ამ კუთხით ბრალი არაფერში მიუძღვის.

ეს ადამიანი ჩვენს ქვეყანას ყველაზე იცავს და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. მე პირადად ბიზნესისგან ძალიან შორს ვარ, აქედან გამომდინარე, ამ საკითხზე სხვა დამატებითი ინფორმაცია არ მაქვს.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრ ვანო მერაბიშვილთან მის ახლობლობას, ის ყველასთან მეგობრობს და შესაბამისად, არც ესაა გასაკვირი. გამსახურდიას პერიოდთან მიყოლებული, დღევანდელი მადალინოსნებით დასრულებული, ყველასთან კარგი დამოკიდებულება აქვს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ აივაზიანს საქართველოსთან მხოლოდ პოზიტიური ურთიერთობა აკავშირებს. მუდმივად იმისკენ ისწრაფვის, რომ ჩვენი ქვეყანა უსაფუფელოდ არ ღანძღონ. რატომ უნდა ჩაედინა დანაშაული, უბრალოდ არ მესმის”, – ამბობს ვან ბაიბურთი.

ტაბაჭუშელებსა და დეპუტატ აივაზიანს შორის დაპირისპირებას ადასტურებს არასამთავრობო ორგანიზაცია “მრავალეროვანი საქართველო” თავმჯდომარე არნოლდ სტეფანიანიც. როგორც მან პრესას განუცხადა, კომპანია “ტბები”

ადგილობრივებს თევზაობას ნამდვილად უკრძალავს, თუმცა, სტეფანიანი იმასაც აღნიშნავს, რომ აივაზიანი ტბის 90%-ის მფლობელია და შესაბამისად, ეს მისი კანონიერი უფლებაა.

“მრავალეროვანი საქართველო” თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ პრობლემის გადასაჭრელად საკითხში ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, მთავრობაც უნდა ჩაერთოს, რათა ადგილობრივების ინტერესები არ შეიღაცოს.

“ვიცი, რომ კომპანია ადგილობრივებს თევზისა და კიბორჩხალის დაჭერას ნამდვილად უკრძალავს, თუმცა, ისინი მაინც აქტიურად თევზაობენ, ანუ ბრაკონიერობენ. კანონის თანახმად, აივაზიანს თევზის დაჭერის უფლება აქვს, ხოლო კიბორჩხალა მისი გაშვებულია. გადასახადებსაც რომ იხდის, ესეც ფაქტია და კარგიცაა, ვინაიდან ბიუჯეტში ამით ფული შედის.

მეორე ფაქტორია, რომ აივაზიანი ტაბაჭუშის მკვიდრებს შემოსავლის ერთადერთ წყაროს მართლაც ართმევს. რეალურად, მათ სხვა საარსებო წყარო არც აქვთ, გარდა თევზაობისა და მესაქონლეობისა.

სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ დაპირისპირება კონსენსუსით უნდა დასრულდეს, საამისოდ კი მთავრობამ ტაბაჭუშელებს ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს არ ეხება მხოლოდ ერთ სოფელს. როგორც ვიცი, აქ მხოლოდ ერთი სოფელი არაა, სამი სოფელია, ამიტომ ცენტრალური ხელისუფლებაც უნდა ჩაერთოს პრობლემის მოგვარებაში და რაიმე გზები გამოინახოს.” – ამბობს სტეფანიანი.

მისივე ინფორმაციით, ვარდან აივაზიანს მართლაც ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილთან, თუმცა, რამდენად შეუწყო მან დეპუტატს ხელი ბიზნესის აწყობაში, მისთვის უცნობია.

“მსმენია, რომ ვარდან აივაზიანს არა მარტო ვანო მერაბიშვილთან, არამედ წინა მთავრობასთანაც ჰქონდა კარგი ურთიერთობა. კონკრეტულად როგორ მოხდა ამ ტბის შესყიდვა, ამაზე ინფორმაციას არ ვფლობ, თუმცა, ყველამ კარგად ვიცი, რას ნიშნავდა იმ პერიოდში შპს მინისტრთან მეგობრობა. ბევრი ვიცი სამცხე-ჯავახეთში, ვინც ამ ადამიანთან მეგობრობით ცხოვრება აიწყო. ასე რომ, არაფერს გამოვიცხავ, თუმცა, კონკრეტულად ხელის გაშვებისგან მაინც თავს შევიკავებ.” – დასძენს არნოლდ სტეფანიანი.

სააკიანცის ნათლია გარდაიცვალა – მიუზა დაბვიობლდა



სამძიმარის მეტი რა გვეთქმის ოდესის გუბერნატორისადმი – მიხეილ სააკიანცმა დაჰკარგა ადამიანი, რომელმაც შევარდნაძისაგან რამდენიმე ათეული მილიონი დოლარისა და ხელშეუხებლობის გარანტიის ფასად შეიძინა საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა შეურაცხადი დაშნაკის სააკიანცისათვის, რომელსაც ქართველი ხალხი ნორმალურ საარჩევნო გარემოში არასოდეს აირჩევდა ქვეყნის მეთაურად. სწორედ ამ გარიგების რეალიზაციისათვის გაითამაშა პოლიტიკური თადლითობით გამოჩენულმა ვარდან შევარდნაძემ ავადსახსენებელი “ვარდების რევოლუცია” და საქართველოს თავზე დაასვა ფსიქიურად გაუწონასწორებელი და უუნარო მექალთანე სადისტი, სააკაშვილად გვარდებული

არარაობა. ცხრა წელი უნგრევედა საპირკველს საქართველოს დაშნაკი არამზადა და უსიტყვოდ ასრულებდა მისი ნათლია კირკ კერკორიანის ვერაგულ შეკვეთას, რაც სომხეთის რეაქციული წრეების მრავალსაუკუნოვან ოცნებას წარმოადგენდა – გადაეტანა საქართველოს დედაქალაქი ქუთაისში და აღმოსავლეთ საქართველო თანდათან გაენთავისუფლებინა სომხების შემოსასახლებლად. ვერკ მოასწრო სააკიანცმა ამ განაზრახვის სისრულეში მოყვანა და საქართველოს მოსახლეობას კარგად ახსოვს როგორ შემოთავალა უკვე უცხოეთში გადახვეწილმა სისხლის სამართლის დამნაშავე სააკიანცმა – ოდონდ პარლამენტს ქუთაისიდან თბილისში ნუ გადმოიტანთ და რაც გინდათ ის გააკეთეთ!

ფული ჰქონდა კერკორიანისაგან აღებული ამ განაზრახვის სისრულეში მოსაყვანად და სხვა რა უნდა ექნა?

ახლა კი ზის ალბათ ეს არამზადა დაშნაკი სააკიანცი და ცხარე ცრემლებით გლოვობს ნათლის გარდაცვალებას!

როგორც პრესა იუწყება, სომხური წარმოშობის ამერიკელი მილიარდერი კერკ კირკორიანი 98 წლის იყო.

გზაც იქით ჰქონდა საქართველოს ყველა ავისმოსურნეს!

ეუსამძიმრებთ ისედაც გაფარჩაკებულ სააკაშვილს და მის დაშნაკურ ბანდას მამა-მარჩენალის გარდაცვალებას!

G7-ში არყოფნა რუსეთს ღირსებას ჰმატებს

გთავაზობთ ფრანგი პუბლიცისტის – ნიკოლა ბონალის საინტერესო სტატეას, რომელიც მან ფრანგულად გამოცემა Boulevard Voltaire-ში გამოაქვეყნა.

ჩესტერტონი (გილბერტ კიტ ჩესტერტონი – ინგლისელი მწერალი და ჟურნალისტი (1874-1936 წ.წ.) – რედ.) ამბობდა, რომ თანამედროვე მსოფლიოს მართვას სკოლის ქალი მასწავლებლები დაიწყებენ. და, თუ პრეზიდენტობის კანდიდატ კლინტონისა და კანცლერ მერკელის საქმიანობით ვიმსჯელებთ, ჩესტერტონი ჭეშმარიტებისგან არც ისე შორს იყო.

შვიდიანის სამიტზე არ იყვნენ “ონაგარი” მოსწავლეები რუსეთიდან. აი, რას ამბობს ამის თაობაზე მკაცრი კანცლერი: “ვინ იფიქრებდა, რომ ცივი ომის დამთავრებიდან 25 წლის შემდეგ ევროპაში მშვიდობასა და წესრიგს კვლავ დაემუქრებოდა საფრთხე ყირიმის ანექსიის გამო და რომ ტერორისტული ისლამისტური ორგანიზაცია ახლო აღმოსავლეთის ორი სახელმწიფოს ტერიტორიაზე “ხალიფატის” შექმნას შეეცდებოდა?”

საინტერესოა, როგორ შეძლო მერკელმა ასეთი სისულელის თქმა.

სამიტის მოსაწვევი მიიღო ეთიოპიამაც, რუსეთმა კი – არა! რუსეთი დასჯილია, ის კუთხეში დააყენეს უკრაინის წინააღმდეგ “აგრესიისა” და ადამიანის უფლებების მიმართ უპატივცემულობისთვის...

გამაოგნებელია იმიტომ, რომ აშშ-ში არის 2,2 მილიონი პატიმარი, გუანტანამოს ციხე და პატიროტული აქტი, პოლიციულთა მიერ დახლოებული 1200 ადამიანი და ბოლო 50 წლის განმავლობაში მილიონობით დაღუპული შავკანიანი ახალგაზრდა ბანდების ხელით და ნარკოტიკების გამო;

აქედან გამომდინარე, უნდა რცხვენოდეს კი რუსეთს, რომ შვიდიანის სამიტზე არ იყო? იქ შეიკრიბნენ მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნები, რუსეთისა და ჩინეთის გარეშე.

დაუბრუნდეთ ჩვენს ცხვრებს. როდესაც პუტინი ლაპარაკობს პრაგმატიზმზე, დასცილდით; მაშინაც დასცილდით, როდესაც ლაპარაკობს ქრისტიანობაზე. არადა, ამჟამად ის ერთადერთია ევროპის სახელმწიფოების ლიდერთა შორის, ვინც ქრისტიანობას იცავს. სხვები იცავენ ტრანსჰუმანიზმს, ერთსქესიანთა ქორწინებას და Femen-ს.

– რუსეთს არ აქვს ჩვენნი ორი ზნეობრივი და სექსუალური ფასულობები, – მუქარის ტონით განაცხადა შარშან ბუქინსკომ.

და ამიტომ მორიგი ომი უნდა დაიწყო!

ბოლშევიკებმა, როდესაც მათ უარი განაცხადეს ინცესტისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებაზე, პოპულარობა მოიხვეჭეს დასავლეთში, რასაც სოლჟენიცინი გვახსენებს. ამას გარდა, აგტორი წიგნისა “ორასი წელი ერთად” ხაზს უსვამს, რომ დასავლეთს საბჭოთა კავშირი მხოლოდ მაშინ მოსწონდა, როდესაც ბიუროკრატია 15 მილიონი რუსი და უკრაინელი გლეხი გაანადგურა. დღეს კი, როდესაც რუსებმა და რუსეთის ფედერაციის ყველა ხალხმა იგემა მშვიდობა და კეთილდღეობა, მასმედიაში ამ ქვეყნის დემონიზაციის კამპანია დაიწყო.

რაოდენ პარადოქსულია!

მე კი ვამბობ, რომ ეს მხოლოდ სულელს შეიძლება გაუკვირდეს. დასავლეთს ბარბარული რუსეთი ბევრად უფრო მოსწონს, ვიდრე პუტინის რუსეთი. ბარბაროსობა აფორიაქებს დასავლეთის მახინჯ წარმოსახვას. სწორედ ამიტომ ეხმარება ის ისლამისტ ჯალათებს სირიაში.

ასე რომ, რუსეთი დიდად არ უნდა ნანობდეს, რომ ამ იდიოტებთან ერთად მოლაპარაკების მაგილას არ მიუჯდა!

ნიკოლა ბონალი, Boulevard Voltaire (საფრანგეთი)

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალის ბიორბი ჯალალანია ზურაბ არზიანი: პასპორტითაც და გულითაც ქართველი ვარ!



27 წლის ცენტრალურმა ნახევარმცველმა ზურაბ არზიანმა, დავით დარციმელიასთან ერთად, უნგრული "სპარტაკუსი" დატოვა და ახალი კლუბის ძიებაშია. არზიანი საინტერესო ფეხბურთელია. ის 80-იანი წლების თბილისის "დინამოს" მარცხენა მცველის, მალხაზ არზიანის ვაჟია. ზურაბის თითქმის მთელი კარიერა რუსეთში ჩაიარა, თუმცა უთამაშია საქართველოშიც. რუსეთში ის "სატურნის", "რუბინის", "ანჟის", ვოლგას, "გაზოვიკისა" და "სახალინის" ღირსებას იცავდა, საქართველოში კი სხვადასხვა დროს თამაშობდა რუსთავის "ოლიმპიში", თბილისის "დინამოსა" და გორის "დილაში". არზიანთან საუბარი უნგრულ "სპარტაკუსში" განვითარებული მოვლენებით დავიწყეთ.

გვიან. ამის გამო უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციამ "სპარტაკუსს" ლიცენზია არ მისცა. - კლუბის ხელმძღვანელობას თქვენთვის გუნდში დარჩენა არ შემოუთავაზებია? - კი, და თან - არაერთხელ. რაღა შორს წავიდეთ, ორშაბათსაც დამირეკეს და მთხოვეს, გუნდში დაბრუნდით. უარი ვთქვი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძველებურად აღარ დაფინანსდება კლუბი. არის მეორე მომენტიც - მესამე ლიგაში თამაში ჩემს გეგმებში არ შედის. - რას იტყვით უნგრეთის ჩემპიონატზე, როგორ შეფასებთ მის დონეს? - პირველად ვითამაშე ნაღდ ევროპულ ჩემპიონატში და ვერ გეტყვით, რომ ბოლომდე აღფრთოვანებული ვარ. უნგრეთის პირველობაზე რამდენიმე კარგი გუნდია, მაგალითად - "ფერენცვაროში" და "ვიდეოტონი". დანარჩენები კი დაახლოებით ერთი დონისაა არიან. რასაც ვერ წაართმევ უნგრეთის ჩემპიონატს, ეს არის არნახული დაძაბულობა. ვერ გაიგებ, ვინ ვისთან მოიგებს და ვინ ვისთან წააგებს. საერთო დონე თანაბარია. აქცენტი სწრაფ ფეხბურთზე კეთდება. მთლიანობაში, უნგრეთის ჩემპიონატს

საშუალო დონის ევროპული პირველობების რიცხვს მივაკუთვნებდი. ინფრასტრუქტურის კუთხით კი ყველაფერი წესრიგშია. - თქვენი კარიერა რუსეთში ძალიან იმედისმომცემად დაიწყო. რატომ ვერ გაამართლეთ ბოლომდე გაცემული ავანსები? ხომ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველობის გამო დაინარჩუნეთ? - არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვოდი. უბრალოდ, არიან ისეთი ადამიანები, რომელთა დანახვაც დღეს არ მსიაძონებს... აღარ მინდა დავწვირილმანდე ამ თემაზე... - თქვენთვის განსაკუთრებული შანსი იყო ყაზანის "რუბინი". რატომ ვერ დამკვიდრდით ამ გუნდში? - მართლაც კარგად მახსენდება ის პერიოდი. 17 წლის ვიყავი, ძირითად გუნდთან ერთად რომ ვცხოვრობდი და ვვარჯიშობდი. ვერავის დავაბრალებ იმას, რომ არ ამეწყო ამ გუნდში კარიერა. სიმართლე მიყვარს და ასე ვიტყვი - ყველაფერი ჩემი ბრალია. რას ვიზამთ, დროს უკან ვერავინ დააბრუნებს. - რადგან "რუბინზე" ვსაუბრობთ, ყურბან ბერდიევიც ვთქვათ - ის განსაკუთრებული ადამიანია, არ იშორება კრიალოსანს, ცოტას ლაპარაკობს და შურნალის სტუმრებს არ სწყალობს. როგორია თქვენ მიერ დანახული ბერდიევი? - ბერდიევი ის მწვერული არ არის, ძალიან ახლოს რომ მიგიშვებს. ამის მიუხედავად, შემძლია ვთქვა, რომ უდიდესი ერუდიციის კაცია და ბრწყინვალედ ესმის ფეხბურთი. მასთან რამდენჯერმე პირადად მიხაუბრება. დიდ პიროვნულ სიბოროს ამუხარებს ჩემ მიმართ. - ამის მერე იყო "ანჟი", სადაც ძირითადის ფეხბურთელი იყავით... - დადესტანში მართლაც შესანიშნავი პერიოდი გაატარე. ბოლოს და ბოლოს, სწორედ ჩემი იქ ყოფნის პერიოდში აღზევდა "ანჟი" რუსულ პრემიერლიგაში. უმაღლეს ლიგაში რომ გადავიდა გუნდი, მერე უკვე ცოტას ვითამაშობდი, თუმცა ეს სხვა თემაა. - საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში პირველად 2007 წელს ითამაშეთ რუსთავის "ოლიმპიში". მას შემდეგ საით მიდის ჩვენი პირველობა, თუ ადევნებთ თვალყურს?

- "ოლიმპიში" ძალიან ცოტა ხანს ვითამაშე, მხოლოდ ერთ მატჩში მივიღე მონაწილეობა და 30 წუთი ვიყავი მინდორზე. უფრო მეტად იმ დროზე შემძლია ვიმსჯელო, როცა თბილისის "დინამოსა" და გორის "დილაში" ვიყავი. ქართული ფეხბურთი ძალიან მიყვარს. არ მინდა, მასზე თუნდაც მცირე რამ ვთქვა უარყოფითად. უბრალოდ, წინსვლას ვერ ვაჩვენებ. ალბათ, უფრო უკუსვლაა. თუნდაც ის პერიოდი ავიღოთ, "დილაში" რომ ვიყავი. მაშინ ჩვენს ჩემპიონატში ამინდს "დილა", "დინამო" და "ზესტაფონი" ქმნიდნენ. - თქვენ არასდროს ვითამაშით საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. როგორც ვიცით, რუსული პასპორტი გაქვთ. ესეც ხომ არ არის მიზეზი? - სადაც კი ვითამაშე, ვითამაშე ორი პასპორტით - რუსულითა და ქართულით. მაქვს ორმაგი მოქალაქეობა და ჩვეულებრივად შემძლია საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაში. - ეროვნულ გუნდში იყავით უკვე გამოძახებულნი... - დიახ, ეს იყო თემურ ქეცბაიას დროს. სამწუხაროდ, მაშინ ვერ შევძელი თამაში, ტრავმა მაწუხებდა. - სანაკრებო ამბიცია არ გაგიქრებოდათ... - რა თქმა უნდა, არა. რა ვიცი, ცდას არ ვაკლებ... უნგრეთის ჩემპიონატში სტაბილურად ვითამაშობდი ძირითადში, შეფასებები კარგი მქონდა... მე ვფიქრობ, რომ შესაძლოა, ნაკრების ხელმძღვანელობამ არც კი იცოდეს, რომ რუსულთან ერთად ქართული პასპორტიც მაქვს. რა თქმა უნდა, ეს არავის ბრალი არ არის. გულწრფელად გეუბნებით - ზურაბ არზიანი გულითაც და პასპორტითაც ნაღდ ქართველია! - "სპარტაკუსიდან" წამოსვლის შემდეგ რომელიმე კლუბმა ხომ არ მოიწადინა თქვენი გადაბირება? შევიტყვეთ, რომ ლაპარაკია უზბეკეთის ერთ-ერთ წამყვან გუნდზე... - არის სხვა შეთავაზებებიც. არ ვქარობ, განვიხილავ ყველაფერს და ამის მერე არჩევანსაც გადავკეთებ.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერიან - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერიან - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენბელი). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუგზარ გოგუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათს დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ. №6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

იმეორი მამოს ქურდი აღსარებას აბარებს - მამაო, შენ რომ მანქანაში ოქროს ჯვარი გქონდა მე მოგპარე; ეკლესიაში რომ დიდი ოქროს ჯვარი იდგა ისიც მე მოვიპარე, კისერზე ოქროს ცეპი და ჯვარი მე მოგპარე. ვინანივ მამო და პატიებას ვითხოვ. - მიპატიება შეილო ჩემო - მიუგო და დაემშვიდობა მღვდელი. - მოიცა მამაო, ასე უბრალოდ ჩაგაბარე აღსარება? ჯვარს არ ვემთხვიო? - რაც ჯვრები მქონდა შენ მომპარე და თუ გინდა ავერ მემთხვიე ეხლა! * * * მამაო მაკურთხეთ, მიტინგზე მივიდვარ. - ვის მიტინგზე? - ნაცების! - შენა კურთხევისთვის მოხვედი, თუ შეკურთხებისთვის, შეილო ჩემო?!

სახალხო მკურნალთა მოულოდნელი ჯარი კილვა მკლავი ნაშიონალური ფარმაცოლოგიის, რომელიც მის დაიკრავს სილიოზა და კვლავ ჩაღვა ხალხის ჯანმრთელობის საფრთხეში. ღომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებული სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალებას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუხისილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პურნავს გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, აფერებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. მკურნალის კოორდინატები: თბილისი, სოფელი შალაში, ბაზნიძის ბიჭვინთი (ღომინტი). ტელ: 893-22-66-51. თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე. მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან.